გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

# ლელო

№ 69
(11 526)

4 – 6 სექტემბერი, 2001 წ.
ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

საქართველოს
პროვინციული
ბიბლიოთეკა

## ხვალ 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი

## საქართველო – ლიტვა

თბილისი. „ლოკომოტივის“ სტადიონი ● 21.00 საათი

## მერაბ გაგუნაშვილი მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონია

როგორც „ლელოს“ წინა ნომერში ვიუწყებოდით, საბერძნეთში ჩატარდა 20 წლამდე გოგონათა და ჭაბუკთა მსოფლიო ჩემპიონატი ჭადრაკში. ინტერნეტში ოპერატიულად გავრცელებულ ცნობაში დაშვებული ყოფილა უზუსტობა. შემდეგ გაირკვა, რომ თბილისელი მერაბ გაგუნაშვილი მხოლოდ მეორე ადგილს დასჯერდა და მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი გახდა.



## ბავშვთა და მოზარდთა ექსპერიმენტული სპორტული სკოლა 15 წლისაა!

2



ხარობდა შაბათს გულშემატკივარი. საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა ქართული ფეხბურთი ითამაშა, ლაღი, ტექნიკური, ლამაზი. იყო შეძახილები ხმის ჩახლეჩამდე, აღფრთოვანება და ტაში. ის, რითაც ცნობილი იყო ადრეულ წლებში ჩვენი ფეხბურთი. დაგვიანებულია, მაგრამ მაინც სასიამოვნო და აღსანიშნავი. უნგრელთა ძლევით სანაკრებო კვირეული არ დასრულებულა, ხვალ ლიტველებს გავეჯიბრებით. ჩვეულებრივად ახალგაზრდა ოლიმპიელები დაიწყებენ და ორდღიან შერკინებას ეროვნულ ნაკრებთა მატჩი დაასრულებს.

*სურათზე: საქართველოსა და უნგრეთის ნაკრბეის შეხვედრის ერთ-ერთი მომენტი. ბურთით – კახი კალაძე (№5).*

4



მას შემდეგ, რაც სექტემბრის პირველ დღეს ბელარუსებმა ბულგარელები დაამარცხეს, ცხადი გახდა, რომ ვაჟ კალათბურთელთა შემდგომ ეტაპზე 2003 წლის ევროპის ჩემპიონატში ეს ორი გუნდი გავიდა, ჩვენებისთვის შინ აზერბაიჯანელ კალათბურთელებთან შეხვედრამ მხოლოდ ფორმალური მნიშვნელობა შეიძინა. თბილისის სპორტის სასახლეში თითქმის ცარიელი ტრიბუნების წინ ჩატარდა ეს მატჩი. ალბათ, უფრო იმიტომ, რომ მოგებასაც აღარ ჰქონდა ფასი და იმიტომაც, რომ გულშემატკივრებს არ სურდათ წინა დღეს ფეხბურთში ეროვნული ნაკრების გამარჯვებით გამოყოლილი ამაღლებული განწყობის გაფუჭება.

რას იზამ! კიდევ ორი წელიწადი უნდა ველოდოთ ახალ ჩემპიონატს, მაგრამ დიდად სახარბიელოს ვერც მაშინ მოვიმკით თუ ქვეყანა არ მოღონიერდა ეკონომიკურად.





ნუნუ გომეშმა პოკერი შეასრულა, მაიკლ ოუენმა – ჰეთ-თრიკი.

მაიკლ ოუენი

6

## გაზეთის დაბეჭდვის წინ:

### *მილოცვა*

*საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის თანამშრომლები დაბადების დღეს ულოცავენ ფედერაციის პრეზიდენტს **მერაბ ჟორდანიას.***

## უნგრელთა მწვრთნელი თბილისის მატჩს გადააყოლეს

საქართველოს ნაკრებთან თბილისში, 1 სექტემბერს, უნგრეთის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრები გუნდის დამარცხების შემდეგ, მადიარების მწვრთნელი ბერტალან ბიშკეი პოსტიდან დაითხოვეს. დროებით მას იმრე გელეი შეცვლის. „არასოდეს განმიცდია ასეთი სირცხვილი და დამცირება, რაც თბილისში დამარცხებით ვიგრძენი“ – თქვა ქვეყნის ფეხბურთის ასოციაციის პრეზიდენტმა იმრე ბოზოკმა.



*ირლანდიელი მეკარის გოლმა ჰოლანდია მსოფლიო ჩემპიონატის მიღმა დატოვა...*

## ოთხ არგენტინელს უკრაინის ნაკრებში თამაში სურს

გუშინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ არგენტინის უმაღლესი ლიგის ოთხ ფეხბურთელს სურს ითამაშოს უკრაინის ეროვნულ ნაკრებში. ორი მათგანი კამპასი და კლიმოვიჩი მსოფლიოში ცნობილი ფეხბურთელები არიან. ორივე, პალუს კმეტჩი და ჩატრუკი უკრაინული წარმომავლობის არიან და სურთ თავიანთი საფეხბურთო კარიერა ისტორიულ სამშობლოს დაუკავშირონ. კამპს 250 მატჩი ჩაუტარებია არგენტინის პირველობაში და გატანილი აქვს 70 გოლი, თამაშობს „ველეს სარსფილდში“, 27 წლის კლიმოვიჩი კი „რაიო ვალეკანოში“, ახლა კი „ვალიადოლიდში“ თამაშობს.

## ბავშვთა ალპინიადა – 2001

2-3






## ფორმულა-1

## მიხაელ შუმახერის 52-ე გრან-პრი

3

ATHENS 2004
CANDIDATE CITY

## მომავალ ოლიმპიურ თამაშებამდე 3 წელიწადი დარჩა

SALT LAKE 2002

## ზამთრის XIX ოლიმპიურ თამაშებს 161 დღე გვაშორებს

8-24 თებერვალი 2002 წ.

# სკოლის მეთექვსმეტე შემოდგომა

სპორტულ სკოლაზე, რომელზედაც ქვემოთ მოგითხრობთ, ბევრი ითქვა და დაიწერა, მომავალში მისი ამაგი უფრო დაფასდება, რადგან სკოლა და მისი შესანიშნავი მწვრთნელ-მასწავლებლები ქვეყანას ნიჭიერ სპორტსმენებს უზრდიან.

ასეთი სკოლის შექმნის იდეა პირველად ამ 15 წლის წინათ ჩაისახა, მას ანალოგი არ ჰყოლია და მისი განსაკუთრებულობა იმაშია, რომ აქ ბავშვებს იღებენ არა სპორტის ამა თუ იმ სახეობისათვის შესაფერისი მონაცემების მიხედვით, არამედ ორი ძირითადი მოთხოვნის გათვალისწინებით – მოზარდი იყოს ფიზიკური მონაცემებით ზოგადად სპორტისთვის შესაფერისი და მეორე – ჰქონდეს ფიზიკური სრულყოფის, სპორტში მეცადინეობის სურვილი. დანარჩენი მერე თავისთავად მოდის. სპეციალისტები გულმოდგინედ აკვირდებიან ბავშვების ფიზიკური სრულყოფის პროცესს, თვალყურს ადევნებენ მათი მისწრაფება საით, სპორტის რომელი სახეობისკენ უფრო იხრება. გავა გარკვეული პერიოდი და მოზარდებს უკვე სკოლის მწვრთნელ-მასწავლებლები სპორტის ცალკეულ სახეობებში მოწვეულ სპეციალისტებთან ერთად ადგენენ თუ სად, კონკრეტულად სპორტის რომელ სახეობაში გააგრძელოს მოზარდმა შემდგომი დაოსტატება. ამოცანას სკოლა, შეიძლება თამამად ითქვას, წარმატებით ახორციელებს. მით უფრო, რომ სკოლა ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიასთანაა გახსნილი და მომავალი სპორტსმენის შეუცდომელი ორიენტაციის განსაზღვრაში ყოველგვარი შეცდომა გამორიცხულია.

ექსპერიმენტული სკოლის ჩამოყალიბების იდეა სპეციალისტებს შესთავაზა ქართული სპორტის მაშინდელმა თავკაცმა, აწ განსვენებულმა ნუგზარ ენდელაძემ. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის რექტორთან, პროფესორ ომარ გოგიაშვილთან მოთათბირების შემდეგ, სკოლის გახსნა საბოლოოდ გადაწყდა და მისი ხელმძღვანელიც მაშინვე შეირჩა – შესანიშნავი სპეციალისტი და საოცრად გაწონასწორებული პიროვნება – ნოე ლობჟანიძე. უნდა ითქვას, რომ მშობლებიც მალე მიხვდნენ ექსპერიმენტული სკოლის პერსპექტივას და მხარში დაუდგნენ პედაგოგიურ კოლექტივს. მერე ავტორიტეტის მრუდი სულ მაღლა წავიდა და ყველა ახალი მიღება აქ დიდ ზეიმად იქცა, გამოშვებაც.


ბადრი ბადრიძე

როგორც იტყვიან, ყველაფერი მაინც შედეგით ფასდება. შედეგი კი ნამდვილად ხელშესახები და საამაყოა. განვლილ 15 წელიწადში აქ სპორტსმენთა შესანიშნავი თაობა აღიზარდა, რომელთაგან ბევრმა ადგილი დაიმკვიდრა საქართველოს ნაკრებ გუნდში სხვადასხვა ასაკში სპორტის ამა თუ იმ სახეობაში. არიან ევროპის ახალგაზრდული თამაშების, საერთაშორისო შეჯიბრებების მონაწილენი. ზოგიერთი უკვე მომავალი ოლიმპიური თამაშებისთვის ემზადება. ბევრი დღეს უკვე სტუდენტია.

სკოლის მოსწავლე ნინო ძიძიშვილი და მარიამ ინაშვილი საქართველოს პრეზიდენტის სტიპენდიანტები არიან. სხვადასხვა შეჯიბრებაში თავი გამოიჩინეს მძლეოსნებმა ნათია ჯანელიძემ, იულია დუბინამ, ნატო მექვაბიშვილმა, თამუნა ესებუამ, ნინო ელიზბარაშვილმა, მარინა ეთიმოვამ, ავთანდილ შავეშოვმა, გელა ცინცაძემ, გოგა ჯიგილიანმა, გიორგი ღვთისიაშვილმა და სხვებმა. ფეხბურთელთა გუნდმა საერთაშორისო ტურნირში ორ ასაკობრივ ჯგუფში დაიკავა I ადგილი. ფეხბურთელთა მწვრთნელი კ. დოლიძე ამერიკაში სამუშაოდ თავის რამდენიმე აღსაზრდელთან ერთად მიიწვიეს. პირველი გამოშვების მოსწავლე-მძლეოსანი ია ელიაშვილი ლოს-ანჯელესში განაგრძობს დაოსტატებას.

72 ჯგუფიდან სკოლაში 14 ჯგუფი მძლეოსნობის განხრითაა, მუშაობს 9 გამოცდილი მწვრთნელი – გ. გოზალიშვილი, ა. ბერიძე, ა. ბედუკაძე, ს. ქავთარაძე, მ. ალთუნაშვილი, ნ. კალანდაძე, მათ გვერდით ილრმავებენ ცოდნას ახალგაზრდა მწვრთნელები გ. ბაგაშვილი, ბ. ვლასოვა, მ. მაისურაძე.

და კიდევ ერთი. როგორც ზემოთ ითქვა, ექსპერიმენტული სკოლა ნუგზარ ენდელაძის თაოსნობით გაიხსნა. ადრე იყო ლაპარაკი, რომ სკოლას ნუგზარ ენდელაძის ხსოვნის საპატივცემულოდ მისი სახელი მიენიჭებოდა. იმედია, ეს საკითხი ახლა, სკოლის 15-წლისთავზე მაინც გადაწყდება დადებითად.

„ყველაფერი კარგად აეწყო, შეიძლება ითქვას, რომ თავდაპირველმა ჩანაფიქრმა სრულად გაამართლა. მიუხედავად ამდენი სიძნელეებისა, მოზარდთა ინტერესი ჩვენი სკოლისადმი არ განელებულა. ცხადია, მომავლის დიდი იმედი გვაქვს", – ამბობს სკოლის დირექტორი ნოე ლობჟანიძე.

ამბობს და ასეც იქნება, რადგან სკოლის 15-წლიანი გამოცდილება ეს უკვე ტრადიციაა, ის მყარი გარანტიაა, რომელიც უთუოდ დიდ სარგებლობას მოუტანს ქართულ სპორტს.

თ. თომაშვილი

... გვაქვს უთვალავი ფერითა

# მთის სიყვარული მხოლოდ მთაში იბადება

*რეპორტაჟი*





XX საუკუნის მიწურულს მთის პრობლემებმა და მათი გადაწყვეტისათვის დაუყოვნებელი ზრუნვის სასიცოცხლო მნიშვნელობამ მთელი კაცობრიობის ყურადღება მიიქცია. მთის გაჩანაგებისა და გაუკაცრიელების, გარემოს დაბინძურების, ლოკალური ეროზიული კატასტროფებისა თუ სხვა ნეგატიურ მოვლენათა შედეგად, ვითარებამ კრიტიკულ ზღვარს მიაღწია.

მთის გადარჩენას, უპირველეს ყოვლისა, მთის სიყვარული და მთის ცოდნა სჭირდება, რაც მხოლოდ და მხოლოდ მასთან უშუალო შეხებითა და ურთიერთობით იბადება. მთის შეყვარებისა და მისი სატკივრის გულთან მიტანა სამშობლოს გაცნობის, შეყვარებისა და მისი დაფასების შესანიშნავი საშუალებაა.

როგორც უკვე არაერთხელ, ამჯერადაც, სწორედ ამ მოსაზრებით ხელმძღვანელობდა საქართველოს მთის მოყვარულთა კავშირი (თავმჯდომარე ჯ. ხანთაძე) და საქართველოს მთამსვლელთა ეროვნული ფედერაცია (პრეზიდენტი გ. ქართველიშვილი), როდესაც ერთობლივად გეგმავდა 8-დან 12 წლამდე ასაკის ბავშვების თორმეტდღიან შეკრებას სახელოვანი მთამსვლელისა და მეკლდეურის, ლადო გურჩიანის მიერ დაარსებულ „დევდორაკის ალპიურ ბანაკში".

არ შეიძლება ხაზგასმით არ აღინიშნოს ამ შეკრების სულისჩამდგმელის, ცნობილი მთამსვლელის გივი ქართველიშვილის ღვაწლი, რომელიც საქართველოს მთის პრობლემებისადმი თავდადებულ წარმომადგენლობასთან ერთად, მაღალპროფესიონალური მიდგომით ემსახურება ახალგაზრდობის ჩაბმას ამ უკეთილშობილეს საქმეში; ასეთმა ერთობლივმა, ფრიად ნაყოფიერმა მოღვაწეობამ უკვე გამოიღო



ნიშანი: ესაა საზოგადოების შესამჩნევი ყურადღება და, რაც მთავარია, ამ ორგანიზაციებში გაწევრიანების მსურველთა დიდი რაოდენობა.

შეკრების მონაწილე ბავშვთა რიცხვმა 60-ს მიაღწია; მათ საზოგადოებრივ საწყისებზე ხელმძღვანელობდნენ ჩვენში კარგად ცნობილი, ჭარმაგი პიროვნებები: გ. ნიკოლაძის სახელობის სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, პროფესორი ჯ. ხანთაძე, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი ნუგზარ ზოიძე, მეტალურგიის ინსტიტუტის სწავლული მდივანი დომენტი გაბუნია, ექიმი, პროფესორი, რამაზ შენგელია, ამ სტრიქონების ავტორი და შესანიშნავი ახალგაზრდები: ქეთი დოლიძე, მარიამ ფალავანდიშვილი, მარიამ ლუკაშვილი, ნინო კახიანი, რატი ლებანიძე და ორი ნიკა — ქურდიანი და ღამბაშიძე. მთელი პასუხიმსგებლობისა და ფიზიკური დატვირთვის „ლომის წილი" სწორედ ახალგაზრდების მხრებს აწვა, რასაც სანაქებოდ გაართვეს თავი. როგორც წინა წლებში, ახლაც ბავშვების განსაკუთრებული სიყვარული დაიმსახურა „დედა ტერეზად" მონათლულმა მარიამ ფალავანდიშვილმა, რომლის უსიტყვო თავდადება საერთო საქმისადმი და არაჩვეულებრივი მზრუნველობა ბავშვების მიმართ, უსაზღვროა. ბუნებასთან შეხვედრის ზეიმი დაწვრილებით აღნუსხა ფოტო და ვიდეო მასალებში ეკატერინე შენგელიამ.

მგზავრობას თბილისიდან დევდორაკის ბანაკამდე, რომელიც მდებარეობს ყაზბეგიდან 7 კმ-ის დაშორებით, დარიალის ხეობაში, ამფითეატრად განლაგებულ გოროზ კლდეთა გარემოცვაში, 6 საათს მოვუნდით; მეორე დღეს ახლომდებარე ჩანჩქერი მოვინახულეთ და გავიარეთ ე.წ. აქტიური აკლიმატიზაცია, ვინაიდან წინ გველოდა ერთდღიანი დაძაბული ლაშქრობა დევდორაკის მყინვარამდე, რომლის ენაც გლობალური დათბობის შედეგად, ძალიან მაღლაა უკანდახეული და, ამდენად, არცთუ იოლი მისაღწევია. ამ ლაშქრობას წინამძღოლობდა ხევში კარგად ცნობილი გვარის უფროსი წარმომადგენელი შალვა ქირიკაშვილი; ეს უაღრესად კოლორიტული კაცი, ხევის ერთ-ერთი ღირსეული წარმომადგენელია. სწორედ მას ხელეწიფება ყოველივე ის, რაც ხევში მეტადაა დაფასებული; ეს გახლავთ მთამსვლელობა, მონადირეობა, მეთევზეობა, ცხვრისა და საქონლის მოვლის უნიკალური ნიჭი, გვარისა და ოჯახისადმი თავდადება, კარგი კაცობა და თანდაყოლილი არტისტიზმი: შალვა თავისი გამორჩეული გარეგნობით გადაღებულია ათიოდე ქართულ მხატვრულ ფილმში.

ბავშვებმა იმ დღეს იხილეს გარიერაჟი მთაში, ულამაზესი მწვერვალი — მყინვარწვერი და დევდორაკის მყინვარის ენა.

დაბა ყაზბეგი და მისი გარეუბანი გერგეთი წარმოუდგენელია სამების ტაძრის გარეშე, რომელიც აგებულია მყინვარწვერის ერთ-ერთი მისადგომი გზის დასაწყისში. აქედან ხელისგულივით მოჩანს ყაზბეგის რაიონის ულამაზესი სოფლები: კარკუჩა, ყანობი, კობი და სხვა. აგრეთვე — ხდის ხეობის მაღალი მწვერვალები ყურო და შინო; უფრო სამხრეთით — ჭაუხის მასივის მწვერვალები და განცალკევებით მდგომი კაპარჭინა.

ამინდის ჭირვეულობის გამო ორდღიანი დასვენება მოგვიხდა: წვიმს, ქარია და ცივა. ბავშვებს ვერც კი წარმოედგინათ, რომ ზაფხულში, თბილისური სიცხეების შემდეგ, სადმე შეიძლებოდა ასეთი სიცივე დახვედროდათ. ჩვენს ექიმს პაციენტები გაუჩნდა, მაგრამ სერიოზული არაფერია, მადლობა უფალსა და წმინდა სამებას! გრძელდება ხატვა, ინტელექტუალური თამაშები, ეწყობა სამხატვრო გამოფენა სასადილო ოთახში, მზადდება კედლის გაზეთი და სხვა. საღამოსკენ იწყება მზადება ორდღიანი ლაშქრობისათვის თრუსოს ხეობაში, თერგის სათავეებისკენ. ამ ლაშქრობისა და რაიონის ფარგლებში ყველა სხვა გადაადგილებისათვის აუცილებელ ავტომომსახურებას წარბშეუხრელად უზრუნველყოფს ბავშვების არაჩვეულებრივად მოყვარული ორი გულთბილი მოხევე: ყაზბეგის გაზმომარაგების თავკაცი გელა ქუშაშვილი და მძღოლი ზურაბ ჩაბადაური. თრუსოს ხეობა, კავკასიონის ეს ერთ-ერთი საოცრება, თავისი სიდიადით სხვა ხეობებისგან გამოირჩევა: აქ ნახავთ მჟავე წყლის მთელ მდინარეს, უნიკალურ კარსტულ ტბას, თოვლივით ქათქათა ტრავერტინებსა და ულამაზეს კოშკებს. ღამე კარვებში გავათიეთ; ამინდი ცვალებადია, ხან წვიმს, ხან იდარებს, ხან ქარი მძლავრობს და ებრძვის კარვებს. კარვები იმარჯვებენ. დილას ყველა მშრალი და გამოძინებულია. კატია შენგელაია, როგორც მას სიყვარულით ბავშვები ეძახიან, მთის ბროლის მშვენიერ კრისტალს პოულობს და... იწყება „ბროლის ციებ-ცხელება": უკლებლივ ყველანი იწყებენ ბროლის ძებნას და ჯიბეებსა და კალთებს ივსებენ ყველაფრით, რაც კი მინისებურად ბრჭყიალებს.

ხვალ მარიამობაა. ერთ-ერთი უდიდესი ქრისტიანული დღესასწაული. ველოდებით სტუმრებს ყაზბეგიდან: რაიონის სპორტის თავკაცს კობა კობაიძეს, მეკლდეურე ბავშვთა ნაკრებთან ერთად. ბანაკში დილიდანვე საზეიმო განწყობა სუფევს; მარტო ის რად გვიღირს, რომ ჩვენს რიგებს ამშვენებს ერთიმეორეზე უკეთესი ხუთი მარიამის მშვენიერი თანავარსკვლავედი. ჩამოდიან სტუმრები, ეწყობა საჩვენებელი ცოცვა 40-მეტრიან შვეულ კლდეზე ორი პარალელური მარშრუტით: ერთი მათგანი ღრმა კულუარს მისდევს, მეორე ვიწრო — შვეულ ნაპრალს პიტალო კლდეზე. ტრაბახში ნუ ჩამოგვართმევთ, და ზოგი თბილისელი ბავშვი ლამისაა ტოლს არ უდებს ყაზბეგელ მეკლდეურებს; მარჯვედ და ლამაზად გადიან ორივე მარშრუტს მარიამ ალხაზიშვილი, ანა ანანიაშვილი, ალექსანდრე ფალავანდი-

იხ. მე-3 გვ.

# მთის სიყვარული მხოლოდ მთაში იბადება

*(მეორე გვერდიდან)*

შვილი, გუგა და ბესიკ მიქაბერიძეები და კიდევ სხვანი.

შემთხვევით შემოსწრებული გერმანელი ტურისტი, პროფესიით მწერალი აღტაცებულია ამ სანახაობით და მისი მშობლიური ენის კარგი ცოდნით, რაც მასთან საუბრისას ბავშვებმა გამოავლინეს.

მხიარულად ჩაიარა საღამომ ბანაკში; დაინთო კოცონი, შესანიშნავად წაიკითხა ლექსი შეკრების ყველაზე უმცროსმა მონაწილემ — ლუკა აქიმიძემ; გოგონებმა წარმოდგენა დადგეს...

გამომგზავრება თბილისისაკენ. იქამდე კი — ტერიტორიისა და ოთახების დალაგება, პირადი და საზოგადო აღჭურვილობის მოწესრიგება და სხვა აუცილებელი სამზადისი.

მშვიდობიანი მგზავრობა თბილისამდე. მრავალრიცხოვან დამხვდურთა ჩვეული აჟიოტაჟი ექვთიმე თაყაიშვილის ძეგლთან. მშობელთა მადლიერების თანაბარი განაწილება ყველაზე, არადა, მადლობა უფრო მათ ეკუთვნით ასეთი კარგი ბავშვების აღზრდისათვის.

ესაა და ეს. ცოტაა თუ ბევრი — მკითხველმა განსაჯოს. რაც მთავარია, უკმაყოფილო არავინაა. ბავშვები მზად არიან ხვალვე გაიმეორონ მსგავსი ლაშქრობა. მზადა ვართ ჩვენც, ანუ: სუბიექტურად ყველაფერი რიგზეა. ჯერი მხოლოდ ობიექტურ პირობებზეა, მაგრამ, როგორც უკვე ითქვა, იმედს არავინ კარგავს.

მთა გადასარჩენია და ელოდება ბავშვებს. ბავშვები მთისკენ ისწრაფვიან. შევუწყოთ ხელი ამ შეხვედრებს. მივბაძოთ ამ საქმეში ყველას, ვინც კი მისაბაძია.

**დავით ჯავახიშვილი**

## საქართველოს მთამსვლელთა ეროვნული ფედერაცია

**ახალგაზრდული ნაკრების შექმნის მიზნით, აცხადებს**

კონკურს მყინვარწვერის (5043 მ) ექსპედიციაში მონაწილეობის მისაღებად. ექსპედიცია ჩატარდება 2001 წ. 15-24 სექტემბერს; მასში ჩაირიცხებიან 16-21 წლამდე ასაკის ახალბედები, რომლებიც ჩააბარებენ სპორტულ ნორმატივებს, წარმოადგენენ ჯანმრთელობის ცნობას, დაზღვევის პოლისს და ექნებათ პირადი ალპინისტური საჭურველი.

ახალგაზრდებს უხელმძღვანელებენ გამოცდილი მთამსვლელები: ლ. გურჩიანი, ზ. კუჭავა, გ. ოთარაშვილი, გ. სუჯაშვილი, გ. ქართველიშვილი, ბ. ქაშაკაშვილი, თ. შარაშენიძე, დ. ჩანტლაძე, მ. ხაბაზი და სხვა.

ცნობებისათვის: თბილისი, მ. კოსტავას 37 (ვერის ბაღი); ტელეფონი – 99-06-66, 98-91-33.

## ტურეცკის ცოლი ქმრის წინააღმდეგ ჩვენებას არ მისცემს

ცურვაში ოლიმპიური ჩემპიონების ალექსანდრ პოპოვისა და მაიკლ კლიმის მწვრთნელი გენადი ტურეცკის საქმეს ავსტრალიის სასამართლო თვეზე მეტია იხილავს იმასთან დაკავშირებით, რომ „სეიფში, რომელიც მას სახლიდან მოპარეს და შემდეგ იპოვნეს, პოლიციამ აღმოაჩინა აკრძალული პრეპარატი, რომელსაც სპორტსმენები იყენებენ.

ვინაიდან ბრალის პირდაპირი მტკიცებულება არ არსებობს, სასამართლო მოითხოვს მისი ცოლის დაკითხვას, მაგრამ მეუღლე უარზეა. ავსტრალიის კანონით ერთ-ერთ მეუღლეს უფლება აქვს სასამართლოში არ მისცეს ჩვენება მეორის წინააღმდეგ თუ ზეგავლენას მოახდენს ოჯახურ ურთიერთობაზე.

## მოსკოვი აგრძელებს პროპაგანდას


ნემოვი

როგორც იცით, მოსკოვში სოკ-ის კონგრესის ჩატარების შემდეგ რუსებმა ენერგიულად დაიწყს 2012 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის უფლების მოპოვების პროპაგანდა. თავის მოსაზრებებს გამოთქვამენ ცნობილი სპორტსმენები. ახლა გამოქვეყნდა ვრცელი ინტერვიუ სახელგანთქმულ ტანმოვარჯიშესთან ალექსი ნემოვთან, რომელიც ამბობს, რომ „ოლიმპიადა ძალიან ესაჭიროება, არა მხოლოდ მოსკოვს, არამედ მთელ რუსეთს."

გუშინ ცნობილი გახდა, მოსკოვში დაიწყს ოლიმპიადის მოთხოვნის ხელმოწერა, მაგრამ დიდი ენთუზიაზმი არ იგრძნობა ხალხში.

## სამგზის მსოფლიო ჩემპიონს ნიკარაგუას მინისტრობა სურს

ეს გახლავთ მოკრივე ალექსის არგუელო, რომელმაც თანხმობა განაცხადა გახდეს თავისი ქვეყნის სპორტის მინისტრი თუ მისი პარტიის ლიდერი ქვეყნის პრეზიდენტი გახდება წლეულს არჩევნებში. ეს თავისებური პროპაგანდაცაა, რადგან არგუელო ნიკარაგუას სპორტის სიამაყე და მის სიტყვას დიდი ძალა აქვს ამ ქვეყანაში.

## წინ არიან ავსტრალიელები

**კეთილი ნების თამაშებში დამაჯერებლად ლიდერობენ მასპინძლები — ავსტრალიელი სპორტსმენები. მათ ახლა უფრო მეტი ოქროს მედალი აქვთ მოპოვებული (28), ვიდრე აშშ-ს (11) და რუსეთს (12) ერთად აღებული. სულ კი, ავსტრალიელებს, 60 მედალი აქვთ, მერე მოდიან ამერიკელები — 41 და რუსები — 31.**



# ცნობები ინტერნეტის სამყაროდან


ბედანოვა


კაფელნიკოვი

## აშშ-ის ღია ჩემპიონატი ჩოგბურთში

**«ფლეშინგ მედოუს» კორტებზე გაიმართა აშშ-ის ღია ჩემპიონატის ქალთა მეოთხე და ვაჟთა მესამე წრის შეხვედრები:**

*ვაჟები*

***გუსტავო კუერტენი*** (ბრაზილია, 1) — მაქსიმ მირნი (ბელარუსი) 6:7, 5:7, 7:6, 7:6, 6:2

***ლეიტონ ჰიუიტი*** (ავსტრალია, 4) — ალბერტ პორტასი (ესპანეთი, 25) 6:1, 6:3, 6:4

***ტომი რობრედო*** (ესპანეთი) — ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი, 5) 7:6, 4:6, 6:4, 4:6, 7:6

***ევგენი კაფელნიკოვი*** (რუსეთი, 7) — დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა) 3:6, 6:4, 6:2, 6:2

***ენდი როდიკი*** (აშშ, 18) — ალექს კორეტჯა (ესპანეთი, 11) 6:4, 6:2, 6:2

***არნო კლემანი*** (საფრანგეთი, 12) — კარლოს მოია (ესპანეთი, 17) 6:7, 6:4, 6:4, 6:0

***ალბერტ კოსტა*** (ესპანეთი) — გორან ივანიშევიჩი (ხორვატია, 15) 6:4, 7:6, 7:6

***ტომას ჰაასი*** (გერმანია, 16) — ირჟი ნოვაკი (ჩეხეთი) 6:3, 6:4, 6:2

*ქალები*

***მარტინა ჰინგისი*** (შვეიცარია, 1) — ელენა დოკიჩი (იუგოსლავია, 14) 6:4, 6:0

***სერენა უილიამსი*** (აშშ, 10) — ჟიუსტინ ენენი (ბელგია, 6) 7:5, 6:0

***დაია ბედანოვა*** (ჩეხეთი) — მონიკა სელეში (აშშ, 7) 7:5, 4:6, 6:3

***ლინდსეი დევენპორტი*** (აშშ) — ელენა ლიხოვცევა (რუსეთი) 6:3, 0-6, 6:3



იუგოსლავია — გერმანია

**31 აგვისტოს თურქეთში დაიწყო ვაჟთა ევროპის ჩემპიონატი კალათბურთში. გუნდები დაყოფილნი არიან 4 ქვეჯგუფად. გაგაცნობთ ქვეჯგუფებში ჩატარებულ შეხვედრათა შედეგებს.**

**A ჯგუფი:** საფრანგეთი — ისრაელი 77:71 (დ.დ), ლიტვა — უკრაინა 82:60

**B ჯგუფი:** ესპანეთი — სლოვენია 85-61, თურქეთი — ლატვია 85-82

**C ჯგუფი:** გერმანია — ესტონეთი 92:70, იუგოსლავია — ხორვატია 85:82

**D ჯგუფი:** რუსეთი — ბოსნია 83-63, იტალია — საბერძნეთი 82:83.

* * *

**A ჯგუფი:** საფრანგეთი — უკრაინა 86:89. ლიტვა — ისრაელი 68:59

**B ჯგუფი:** ესპანეთი — ლატვია 106:77. თურქეთი — სლოვენია 57:71

**C ჯგუფი:** იუგოსლავია — ესტონეთი 113:58. გერმანია — ხორვატია 98:88

**D ჯგუფი:** რუსეთი — საბერძნეთი 106:81. იტალია — ბოსნია 96:66

* * *

**A ჯგუფი:** საფრანგეთი — ლიტვა 77:65, უკრაინა — ისრაელი 65:88

**B ჯგუფი:** ესპანეთი — თუორქეთი 78-84, სლოვენია — ლატვია 93-99

**C ჯგუფი:** იუგოსლავია — გერმანია 86:73, ხორვატია — ესტონეთი 81:69

**D ჯგუფი:** რუსეთი — იტალია 58:64. საბერძნეთი — ბოსნია 101-77

**საბოლოოდ** ქვეჯგუფებში ადგილები შემდეგნაირად განაწილდა:

**A ჯგუფი:** 1 — საფრანგეთი, 2 — ლიტვა, 3 — ისრაელი, 4 — უკრაინა

**B ჯგუფი:** 1 — თურქეთი; 2 — ესპანეთი, 3 — ლატვია, 4 — სლოვენია

**C ჯგუფი:** 1 — იუგოსლავია, 2მ — გერმანია, 3 — ხორვატია, 4 — ესტონეთი

**D ჯგუფი:** 1 — რუსეთი, 2 — იტალია, 3 — საბერძნეთი, 4 — ბოსნია

***საფრანგეთი, თურქეთი, იუგოსლავია*** და ***რუსეთი*** გავიდნენ 1/4 ფინალში. დანარჩენი 4 გუნდის ვინაობა გაირკვევა შემდეგ შეხვედრებში: ლიტვა — ლატვია; საბერძნეთი — გერმანია; ესპანეთი — ისრაელი; იტალია — ხორვატია.

## ფორმულა-1 კინაღამ ტრაგედია დატრიალდა

გასულ შაბათს გამართული „ბელგიის გრან-პრი" მრბოლებსაც და ყველას, ვინც სტარტს ადევნებდა თვალყურს, დიდხანს ემახსოვრება, არა იმიტომ, რომ სტარტი ერთი-ორჯერ გაჭიანურდა, თანაც ტრასაზე მთელი 40 წუთი წვიმდა, არამედ უფრო იმიტომ, რომ მოხდა ისეთი ავარია, რომლის მსგავსი არ ახსოვს რბოლების ისტორიას.

ინციდენტი მოხდა მე-5 წრეზე, რაც კინაღამ ტრაგედიით დასრულდა ბრაზილიელი ლუჩანო ბურტისათვის. მოსახვევში იგი ირვინის გადასწრებას შეეცადა. მანევრისას კი მას ირვინმა გზა არ დაუთმო. მეტოქეთა ბოლიდები ერთმანეთს ოდნავ შეეხო, რითაც ბურტის მანქანა დაზიანდა, მართვა დაკარგა და 240 კმ სიჩქარით ჯერ დამცავ ზოლს შეეხეთქა, გაანგრია იგი და კედელს შეასკდა. ბურტი საავადმყოფოში გააქანეს, სადაც დაზუსტდა, რომ მრბოლი რამდენიმე მოტეხილობას გადაურჩა, მხოლოდ დაჟეჟილობები და ტვინის შერყევა მიიღო. რბოლა შეწყდა, მაგრამ ორგანიზატორებმა იგი 278 კილომეტრამდე შეკვეცეს.

ერთხანს, ყურადღებას განსაკუთრებით იქცევდა კულტჰარდის და ფიზიკელას პაექრობა, შოტლანდიელმა მაინც გადაუსწრო იტალიელს და მეორე იყო ფინიშთან. ამასობაში კი მიხაელ შუმახერი, რომელმაც ტრასის დიდი ნაწილი ეულად გაიარა, შეუმჩნევლად გაიჭრა წინ და რბოლის ისტორიაში ახალი რეკორდი დაამყარა, მოიგო რა 52 რბოლა. შეგახსენებთ, რომ მანამდე რეკორდსმენი იყო ალენ პროსტი – 51 გამარჯვება.


ბურტი

*მაშ ასე, მე-14 ეტაპი „ბელგიის გრან-პრი":* 1. მიხაელ შუმახერი 1:08.05,002, 2. კულტჰარდი – ჩამორჩენა 0.10,098, 3. ფიზიკელა – 0.27,742. ყველაზე სწრაფი წრე: მიხაელ შუმახერი – 1.49,758.

*მსოფლიო ჩემპიონატის საერთო ჩათვლა ასე გამოიყურება:* მ. შუმახერი – 104 (იგი ადრე, ვადამდე გახდა მსოფლიო ჩემპიონი). შემდეგ მოდიან: კულტჰარდი – 57, ბარიკელო – 48, რ. შუმახერი – 44, ხაკინენი – 24, მონტოია – 15, ხაიდფელდი – 11. ფიზიკელა მერვეა – 8. ფრენტცენი – 6 (XII), ალეზი – 5 (XIII-XIV), ირვინი – 4 (XV)...

*კონსტრუქტორთა პაექრობა:* 1. „ფერარი" – 152 ქ., 2. „მაკლარენი" – 81, 3. „უილიამსი" – 59, 4. „ზაუბერი" – 20, 5-6 „ბარი" და „ჯორდანი" – 16-16, 7. „ბენეტონი" – 10, 8. „იაგუარი" – 5, 9. „პროსტი" – 4, 10. „ეროუზი" – 1.



**მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი**

თბილისი. 1 სექტემბერი. „ლოკომოტივის“ სტადიონი. 9.000 მაყურებელი.

**საქართველო – უნგრეთი 3–1**

# დაწუნებულთა ბენეფისი

**საქართველო:** გვარამაძე; ლ. კობიაშვილი, ხიზანიშვილი, რეხვიაშვილი, კალაძე, ცქიტიშვილი (საჯაია 78), ნემსაძე, ყაველაშვილი (იაშვილი 46), ჯამარაული, ქინქლაძე, შ. არველაძე (დემეტრაძე 61).
**უნგრეთი:** კირალი, გ. კორშოში, პეტო, მატიუში, შებოკი, ჰალმაი (დარდაი 55), კაბატი, ლისტეში, ჰორვატი, (ტოკოლი 61), ილეში, ა. კორშოში.
*გოლები:* 1-0 არველაძე (35), 1-1 მატიუში (44), 2-1 ჯამარაული (49), 3-1 იაშვილი (65).
*გააფრთხილეს:* რეხვიაშვილი, დემეტრაძე, პეტო, ჰალმაი, ლისტეში, ა. კორშოში.
*გააძევეს:* რეხვიაშვილი
*მსაჯი:* დ. კოსი (სლოვენია).




ყიჟინა დასცეს შემოდგომის პირველ დღეს ქართველებმა.

აიშვა ეროვნულმა ნაკრებმა და ქედმაღალი უნგრელები თავჩაქინდრულნი გაისტუმრა მინდვრიდან. მიზეზი უბრალოა, ჩივაძის პირველი ოფიციალური მატჩი ეროვნულმა გუნდმა შეუბოჭავად ჩაატარა, შეუტია მეტოქეს და შედეგიც მოიმკა. თითქმის სამი წელია ნაკრებს თბილისში შესარჩევი მატჩი არ მოეგო და აი, სარევანშო განწყობამ ქართველებს მოაგებინა.

მატჩისთვის მზადებისას გამართულ პრესკონფერენციაზე ჩივაძემ პირდაპირ განაცხადა, რომ ქინქლაძისა და ჯამარაულის ერთად თამაშში პრობლემას ვერ ხედავს. მწვრთნელი მართალი იყო. სწორედ ისინი იწყებდნენ ყველა შეტევას, რის შემდეგაც მადიარების კართან სახიფათო მომენტი მრავლად შეიქმნა. შეტევაში გამწესებულ ყაველაშვილს და არველაძეს მობილური ნახევარდაცვა უმაგრებდა ზურგს. განსაკუთრებულ აღნიშვნას ცქიტიშვილის მარჯვენა „ფლანგელობა“ იმსახურებს. ლევანის მონდომებამ და ოსტატობამ სათავე დაუდო სტუმართა რბევას, სწორედ მისმა ბრწყინვალე რეიდმა და ცაციათი უზუსტებმა პასმა გაახსნევინა ანგარიში არველაძეს, რომელსაც მანამდე ნაღდი საგოლე მომენტი გაუცუდდა. გოლმა უნგრელები გამოაფხიზლა, მათაც შემოგვიტიეს და ტაიმის მიწურულს მატიუშმა გაქვითა გოლი. მოკლედ, ეს ბოლო წუთები დანავსული რჩება ჩვენთვის, თუმცა ამჯერად გუნდი არ დაითრგუნა, მეორე ნახევარი მთლიანად ჩვენი ნაკრების უპირატესობით წარიმართა, შეცვლებიც დროულად განხორციელდა, ადრე დაწუნებულმა იაშვილმა და დემეტრაძემ მოსვენება არ მისცეს სტუმართა მცველებს. დაუღალავმა და შეხმატკბილებულმა, ნაკრებში თამაშს მონატრებულმა წყვილმა საგოლე პასით და გოლით გამოიჩინა თავი. ტაიმი ჯამარაულის გოლით დაიწყო. შეტევას მიზანმიმართული იერიშები ენაცვლებოდა და მოვიგეთ კიდეც. „ლოკომოტივის“ არენა ნაკრებისთვის ფეხბედნიერი გამოდგა.

ეროვნულმა გუნდმა ისე ითამაშა, როგორც წესი და რიგია. ქართული ფეხბურთი მუდამ მოიერიშე, იმპროვიზაციაზე დაფუძნებული იყო და ასეთად უნდა დარჩეს. ტრადიციების უარყოფა, შიშნარევი, მხოლოდ დაცვაზე აგებული თამაშის ამარა ვერ გავიმარჯვებთ.


უტევს დემეტრაძე


ნემსაძე (№7)

ელდარ მალხაზიშვილის ფოტოები




## საქართველო – ლიტვა

# ძველი ნაცნობები

საზეიმო განწყობით გვესტუმრა ლიტვის ნაკრები. როდესაც საქართველოს ეროვნული გუნდი შინ უნგრელებს არბევდა, ბალტიისპირელები თითქმის უძლიერესი შემადგენლობით მოთამაშე იტალიელებს ტოლსწორად უმკლავდებოდნენ და ერთი ქულის ამარა დატოვეს. ცნობილი და გამოცდილი სპეციალისტის ბენიამინას ზელკიავიჩუსის ხელი ნამდვილად დაეტყო ნაკრებს. შემადგენლობა თითქმის მთლიანად გადახალისდა და შესარჩევი ციკლის დასაწყისში უსუსური გუნდი ანგარიშგასაწევ ძალად გარდაიქმნა, რაზეც შაბათის მატჩიც ნათლად მეტყველებს. იტალიელებთან ლიტვამ ასეთი შემადგენლობით ითამაშა: სტაუჩე, სტანკიავიჩუსი, ჯიუკსტასი, გლევეცკასი, სკარბალიუსი, მორინასი, ჟუტაუტასი, მიკალაიუნასი, იანკაუსკასი, რაჟანაუსკასი, ნარბეკოვასი, პოშკუსი, შემბერასი, ასე რომ, სერიოზულ, საკუთარ ძალებში დარწმუნებულ გუნდთან გვაქვს საქმე, თან ისიც გასათვალისწინებელია, რომ ჩვენმა ნაკრებმა დღევანდელი სტუმარი შარშან დასცა 4-0 მის მინდორზე და უნდა ვივარაუდოთ, პრესტიჟისთვის თბილისშიც შეგვებრძოლება.

ბალტიისპირელები დედაქალაქში გუშინ, 16 საათზე ჩამოვიდნენ. დელეგაციის ხელმძღვანელები „აჭარაში“, ორივე გუნდი კი სასტუმრო „ოდაში“ დაბინავდა. ახალგაზრდულმა ნაკრებმა 20 საათზე „დააჭაშნიკა“ ეროვნულის მინდორი. დღეს კი მატჩია. ვახტანგ კოპალეიშვილმა აპრობირებული გრაფიკით ავარჯიშა შეგირდები, უნგრელებთან მარცხის შემდეგ შეიძლება გარკვეული ცვლილებებიც მოახდინოს. ვნახოთ, რას მოგვიტანს ჯგუფის აუტსაიდერების მატჩი.

ლიტველთა ეროვნულმა გუნდმა პირველი ვარჯიში „ნორჩი დინამოელის“ მინდორზე ჩაატარა. ზელკიავიჩუსმა უძლიერესი შემადგენლობა ჩამოიყვანა, თუმცა, ვერ ითამაშებენ ანდრიუს შკერლა და არტურას ფომენკა, მაგრამ გუნდში ჰყავს ვეტერანი არმინას ნარბეკოვასი საჯარიმოს უბადლო შემსრულებელი. გუნდის განწყობა კი, როგორც ვთქვით, ამაღლებულია და იოლი მატჩი არ გვექნება.

გარკვეული პრობლემები საქართველოს ეროვნულ ნაკრებშიცაა. ჩივაძემ გუშინ შეგირდები დიღმის ბაზაზე გაავარჯიშა.

სათუოა შოთა არველაძის თამაში – მას კუნთი აქვს დაჭიმული. წითელი ბარათის გამო გუნდში არ იქნება რეხვიაშვილი. მუხლის ტრავმა აწუხებს და კვლავ ვერ ითამაშებს ქეცბაია. ლიტველების ნაკრების ყველაზე ძლიერ რგოლს ნახევარდაცვა წარმოადგენს, საიმედოდ თამაშობს მეკარე გინტარას სტაუჩეც.

მოკლედ, შარშანდელი დიდი ანგარიშით გამარჯვება უკვე წარსულია: ხვალ კი ისევ უნდა დავუმტკიცოთ მეტოქეს, რომ მათზე ძლიერები ვართ. უნგრელებთან მატჩმა დაადასტურა, რომ ამის ძალა და უნარი ჩვენს ბიჭებს შესწევთ.




**ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი**

31. აგვისტო. ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი. 3.000 მაყურებელი

**საქართველო– უნგრეთი 0–2**

# ისევ ნულები

**საქართველო:** მერლანი, დეკანოსიძე, აბრამიძე, სალუქვაძე, ჯ. მუჯირი, ასათიანი, გ. კვარაცხელია, ადამია (ი. სამხარაძე, 85), კორღალიძე (ახალკაცი, 66), გაგუა (სვანაძე 46), მ. ბობოხიძე.
**უნგრეთი:** ტაკაჩი, გიეპეში, კოროლოვსკი, ფარკაში (ქაბოში 80). ლიოვი, ზ. ბოდნარი, ჰალმოში, ბოჟიკი (ჰაინალი 56), საბიჩი, მ. ფეჰერი, ტოკოდი (ბაიზატი 63).
*გოლები:* 0-1 საბიჩი (39), 0-2 ფეჰერი (62)
*გააფრთხილეს:* სალუქვაძე, სვანაძე, ბობოხიძე; ბაიზატი, დიეპეში, ფეჰერი:
*გააძევეს:* ბაიზატი.
*მსაჯი:* ა. გეორგიუ (კვიპროსი)

არა, ნამდვილად დანავსულია ახალგაზრდული ნაკრები, ერთფეროვნება გრძელდება და ბოლო არ უჩანს. არაფერი შეცვლილა. გამოცდილებაზე დაყრდნობამ სატურნირო ვითარება ვერ გამოგვისწორა, ისევ ნულები, ქაოსი და... სათქმელიც არაფერია. მუდამ ნიჭიერებად მონათლული ქართული ახალგაზრდები, მარად „მწვანე“ სტუდენტებს უფრო ჰგვანან. იცვლება თაობა, არ იცვლება შედეგი. ბოლო ადგილი ცხრილში და ოცნება, რომელსაც ახდენა არ უწერია. ახალგაზრდული კვლავ უპერსპექტივოა, რაც უნგრელებმა კიდევ ერთხელ დაგვიმტკიცეს.



ელდარ მალხაზიშვილის ფოტო

**უნგრელებს - ლიტველები, სლოვენიელებს**

**ებრაელები შეცვლიან**



**საქართველო — ლიტვა. 5 სექტემბერი**
**„ლოკომოტივი“ სტადიონი. 21.00**



ეროვნულ ნაკრებთა მატჩს ჰაიმ იაკოვი მოემსახურება. მთავარ მსაჯს დაეხმარებიან შაი ოსადონი, და ეიალ ჰატუკი, სათადარიგო მსაჯობა მეირ ლევის დაევალა.

მატჩის დელეგატია შვეიცარიელი ვერნერ მიულერი. ებრაელ მსაჯებს დააკვირდება ცნობილი შოტლანდიელი არბიტრი რობერტ ვალენტაინი.

# მეზობელი ქარისაო

**საქართველო — ლიტვა. 4 სექტემბერი**
**ეროვნული სტადიონი. 20.00.**

ახალგაზრდულ ნაკრებთა შეხვედრას მეზობელი რუსები გაუძღვებიან. მთავარი მსაჯია ნიკოლაი ივანოვი, თანამსაჯები — ევგენი ვოლნინი და სერგეი კუდრიავცევი, მეოთხე ალექსანდრე ევსტიგნეევი იქნება.

მატჩის დელეგატი შოტლანდიელი რობერტ ვალენტინია.



**საქართველოს თასი**

**I ეტაპი**
მრეტები – აკადემია 2-1 დ.დ.
ზოოვეტი – მცხეთა 4-0
კრწანისი – მაუდი 2-4
ოლიმპიკი – ცხუმი 2-2 (პენ 4-3)
კოლხეთი-2 – ლუკა 3-1
მალაროელი – ინტერი 1-2
სულორი – საირმე 3-2
**II ეტაპი**
ინტერი – სულორი 2-3

## საქართველოს XIII ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

# პირველი ლიგა

გამოტოვებული მატჩები

*2 სექტემბერი*

ლოკომოტივი (სამტრედია) — ქობულეთი 0-1

ცხინვალი — თორი 5-1

*3 სექტემბერი*

დილა — ლაზიკა 6-0

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| **დილა** | 4 | 4 | 0 | 0 | 14-1 | 12 |
| **ცხინვალი** | 4 | 3 | 0 | 1 | 10-4 | 9 |
| **ქობულეთი** | 4 | 3 | 0 | 1 | 3-4 | 9 |
| **მილანი (წნ)** | 4 | 2 | 1 | 1 | 6-2 | 7 |
| **ლაზიკა** | 4 | 2 | 1 | 1 | 5-8 | 7 |
| **თსუ** | 4 | 2 | 0 | 2 | 4-2 | 6 |
| **კოლხეთი (ხ)** | 4 | 1 | 3 | 0 | 4-3 | 6 |
| **ლოკომ. (თბ)** | 4 | 1 | 2 | 1 | 6-5 | 5 |
| **დინ.-2 (თბ)** | 4 | 1 | 0 | 3 | 4-5 | 3 |
| **მერანი-2** | 4 | 1 | 0 | 3 | 1-5 | 3 |
| **ლოკომ(სამტ.)** | 4 | 0 | 1 | 3 | 1-7 | 1 |
| **თორი** | 4 | 0 | 0 | 4 | 1-13 | 0 |

# თერთმეტი წელიწადი ჰავბეკის ამპლუაში

**ბათუმის „დინამოს" ყოველთვის ჰყავდა გამორჩეული ფეხბურთელები. სწორედ ასეთთა რიცხვს მიეკუთვნება „დინამოს" 1970-1980-იანი წლების ერთ-ერთი საუკეთესო მარჯვენა ჰავბეკი იური ესებუა. იგი ცხაკაიაში დაიბადა, იქ გადადგა პირველი ნაბიჯები სპორტში. ბათუმის „დინამოში" „ა" და „ბ" კლასის კოლექტივებს შორის ჩატარებული აქვს 393 მატჩი. მის ანგარიშზეა 78 გოლი. ბევრი გამარჯვებისა და დამარცხების სიხარული და სიმწარეც განუცდია. იური ესებუამ უკვე 50 წელს გადააბიჯა. ჩვენი ბათუმელი კორესპონდენტი ეწვია მას და ნახევარსაუკუნოვანი იუბილე მიულოცა. ამასთან, სთხოვა რამდენიმე კითხვაზე პასუხი გაეცა.**



იური ესებუა ბურთთან

● ***ბატონო იური, სად და როგორ დაიწყო თქვენი საფეხბურთო კარიერა?***

— როგორც ყველა ყმაწვილი, მეც ქუჩაში დავიწყე ფეხბურთის თამაში, მერე ჩემი პირველი დამრიგებელი ოთარ ჩიქობავა გახლდათ, ცოტა მოგვიანებით ცხაკაიას „სენაკის" მთავარმა მწვრთნელმა გულო ოდიშარიამ მიმიწვია გუნდში. ამ კაცმა არაერთი სახელოვანი მოთამაშე აღუზარდა ქართულ ფეხბურთს.

● ***სენაკიდან წასვლის შემდეგ სად თამაშობდით?***

— 1968 წელს თბილისის „დინამოს" უფროსმა მწვრთნელმა გივი ჩოხელმა საქართველოს მთავარ გუნდში მიმიწვია. ეს დიდი პატივი იყო ჩემთვის. მაშინ, ჯერ კიდევ ჭაბუკი ვიყავი. „დინამოში" საბჭოთა კავშირის ნაკრების რამდენიმე ფეხბურთელი თამაშობდა.

● ***დებიუტი როდის შედგა „დინამოს" ძირითად შემადგენლობაში?***

— 1969 წლის ნოემბერში „ლოკომოტივის" სტადიონზე ვითამაშე კიევის „დინამოს" წინააღმდეგ. მატჩი აღმავლობით ჩავატარეთ და გავიმარჯვეთ 2-0. გოლები გაიტანეს თენგიზ ლოლობერიძემ და ბესარიონ მჭედლიშვილმა. მატჩის შემდეგ მწვრთნელმა მაღალი შეფასება ჩამიწერა ოქმში.

1970 წლის აგვისტოდან ბათუმის „დინამოში" გადამიყვანეს და იქ ათი წელი ვითამაშე.

● ***ვინ იყო თქვენთვის სამაგალითო მწვრთნელი?***

— მოსკოველი ბორის ცირიკი.

● ***საინტერესოა თქვენი აზრი ბათუმის „დინამოს" მაშინდელ თანაგუნდელებზე, ვის თვლით თქვენი დროის საუკეთესო მოთამაშედ?***

— რა თქმა უნდა, ვახტანგ ქორიძეს.

● ***რომელი მატჩი დაგამახსოვრდათ ყველაზე მეტად?***

— 1974 წლის 2 მაისს, სმოლენსკში თანამაშევი მატჩი. იქაური „...რა" „ა" კლასის მეორე ლიგაში წარმატებულად განაგრძობდა ჩემპიონატს. აქვე მინდა ვთქვა, რომ სმოლენსკელ ფეხბურთელებს სამი წლის განმავლობაში საკუთარ მოედანზე არ წაუგიათ. ჩვენ ძლიერად ვითამაშეთ და გავიმარჯვეთ 2-1.

მე-15 წუთზე მარჯვენა ფლანგიდან თენგიზ ბეჟანიძემ მშვენიერი პასი მომაწოდა, მე არ დავაყოვნე და ბურთი მეტოქის კარში გავგზავნე 1-0. მეორე ნახევარში, ვაჟა ჩიტაურმა, მეორედ დააწყებინა თამაში მეტოქეს ცენტრიდან — 2-0. მატჩის 90-ე წუთზე მასპინძლებმა პრესტიჟის გოლი გაგვიტანეს — 2-1.

● ***თქვენი საუკეთესო პარტნიორი ბათუმის „დინამოში"?***

— ანესტი გიორგიადი.

● ***საყვარელი ფეხბურთელი უცხოელთაგან და ჩვენებურებიდან?***

— მიშელ პლატინი და გიორგი სიჭინავა.

● ***გუნდები?***

— თბილისის „დინამო" და „ბარსელონა".

● ***კიდევ რომელ სპორტის სახეობას ეთაყვანებით?***

— ფეხბურთის გარდა, პატივს ვცემ კალათბურთსა და ჩოგბურთს, აგრეთვე აღიარებულ ლეგენდარულ სპორტსმენებს მაიკლ ჯორდანს, მაიკ ტაისონს, და ჰოკეისტს პაველ ბურეს.

● ***თქვენ ყველა ეროვნულ ჩემპიონატს ადევნებთ თვალს, ერთი წელი ბათუმის „დინამოს" მწვრთნელიც იყავით, როგორ ფიქრობთ, ძალიან დიდი სხვაობაა პირველ და ბოლო ეროვნულ ჩემპიონატებს შორის?***

— უჰ, ძალიან დიდი, დონემ ძალიან მოიკლო, თუმცა ეს ლოგიკური, კანონზომიერი მოვლენაა. პატარა საქმეა, საქართველოს 500-მდე ფეხბურთელი ხომ 20-25 გუნდია? თუ ეკონომიკური მდგომარეობა არ გამოსწორდა, დონე არ ამაღლდება.

● ***დიდი ფეხბურთიდან წავსლის შემდეგ რა საქმიანობას ეწევით?***

— მაინც ფეხბურთს ვემსახურები. ბათუმის საფეხბურთო სკოლაში პატარებს ვასწავლი სპორტის ამ ლამაზ სახეობას. ჩემს ჯგუფში გადიოდნენ წვრთნას ცნობილი ფეხბურთელები გელა შეყილაძე, ამირან მუჯირი, ასლან ხიბაია, ტარიელ შერვაშიძე, ზაზა კირკიტაძე, გიორგი ალაბაბიანი და სხვები.

● ***თქვენ 32 წლისამ დაანებეთ თავი ფეხბურთის თამაშს. აღარ შეგეძლოთ და იმიტომ?***

— კიდევ შემეძლო მეთამაშა. ოცდათორმეტი წელი არცთუ ისე დიდი ასაკია, მაგრამ ოჯახს მოვეკიდე, ცოლად შევირთე აფხაზი გოგონა ნაირა ჩურუკბა. არჩევანში არ შევმცდარვარ. სამ შვილს უზრდის ქვეყანას.

***არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ ბატონ იურის მართლაც თბილი და ტკბილი ოჯახი აქვს. ქალბატონი ნაირა დიასახლისია. უფროსი ქალიშვილი მეგი ბათუმის პედაგოგიური კოლეჯის მესამე კურსზე სწავლობს, ელგუჯა და თამრიკო კი მეათე-მეცხრე კლასის მოსწავლეები არიან...***

ესაუბრა
ოთარ მურვანიძე,
„ლელოს" საკ. კორ. ქ. ბათუმში.

# რეგიონული ლიგა



**დასავლეთის ზონა**

I ტური

სქური — საპოვნელა 1-2

კოლხეთი-2 — საირმე 0-0

ინტერი — ჩიხურა 4-0

მერცხალი — ლუკა 3-1

გურია-2 — ოკრიბა 4-0

დინამო (სოხუმი) — მაღაროელი 1-1

სამეგრელო — გზები 4-0

სულორი — ეგრისი 2-1

დინამო-2 (ბათუმი) — სალხინო 0-2

მეტალურგი — დინამო (ზუგდიდი) 1-1

**აღმოსავლეთის ზონა**

II ტური, 31 აგვისტო

დინამო (თბ) — ლიახვი 1-2

მერანი-3 — ზოოვეტი 0-3

მრეტები — ვიტ ჯორჯია-2 0-0

ოლიმპიკი — კრწანისი 5-0

ქაბუკიანი — ვარძია 1-1

ჯავახი — ალაზანი 0-6

მესხეთი — აკადემია 1-2

**1 სექტემბერი**

ცხუმი — გორდა-2 0-0

**2 სექტემბერი**

მაუდი — ივერია 1-1

თბილისი — მცხეთა-2 1-4

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ოლიმპიკი** | 2 | 2 | 0 | 0 | 8-2 | 6 |
| **ზოოვეტი** | 2 | 2 | 0 | 0 | 5-0 | 6 |
| **მცხეთა** | 2 | 2 | 0 | 0 | 5-1 | 6 |
| **ივერია** | 2 | 1 | 1 | 0 | 4-2 | 4 |
| **ვარძია** | 2 | 1 | 1 | 0 | 3-1 | 4 |
| **ცხუმი** | 2 | 1 | 1 | 0 | 5-1 | 4 |
| **აკადემია** | 1 | 1 | 0 | 0 | 2-1 | 3 |
| **ალაზანი** | 2 | 1 | 0 | 1 | 7-5 | 3 |
| **ლიახვი** | 2 | 1 | 0 | 1 | 3-4 | 3 |
| **ქაბუკიანი** | 2 | 0 | 2 | 0 | 1-1 | 2 |
| **გორდა-2** | 2 | 0 | 2 | 0 | 0-0 | 2 |
| **ვიტ ჯორჯია** | 2 | 0 | 2 | 0 | 2-2 | 2 |
| **მრეტები** | 2 | 0 | 1 | 1 | 2-3 | 1 |
| **მერანი-3** | 2 | 0 | 1 | 1 | 2-5 | 1 |
| **მაუდი** | 2 | 0 | 1 | 1 | 1-3 | 1 |
| **დინამო-3 (თბ)** | 2 | 0 | 0 | 2 | 1-3 | 0 |
| **კრწანისი** | 2 | 0 | 0 | 2 | 0-7 | 0 |
| **მესხეთი** | 1 | 0 | 0 | 1 | 1-2 | 0 |
| **თბილისი** | 1 | 0 | 0 | 1 | 1-4 | 0 |
| **ჯავახი** | 1 | 0 | 0 | 1 | 0-6 | 0 |

## დებიუტანტი



**ნიკუშა ფურცხვანიძე**

**(ფეხბურთი)**

*დაიბადა* 1983 წელს ბათუმში

*სიმაღლე* 176 სმ

*წონა* 68 კგ

*ფეხბურთში* მეცადინეობს 1991 წლიდან იყო აჭარის მოსწავლეთა და საქართველოს 16 წლიანთა ნაკრების წევრი.

*გატაცებულია* აგრეთვე კალათბურთით, უყვარს პოეზია და ქართული ხალხური სიმღერები.

*მწვრთნელი* გია ჯორბენაძე

*თამაზ ბარამიძის* სახელობის ტურნირში გამარჯვებული. მოიპოვა ამ ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელის პრიზი, გაიტანა ყველაზე მეტი გოლი. 1999 წელს გ. ჩოხელის პრიზზე დასავლეთ ზონაში გუნდთან ერთად დაიკავა პირველი ადგილი.

*ფეხბურთს* ეზიარა საკუთარი სურვილით და მამის რჩევით.

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## ჯერარდი ოუენს მსოფლიოში საუკეთესო ფეხბურთელად მიიჩნევს

**თანაგუნდელმა ჯერარდმა ჟურნალისტებს გერმანელებთან მატჩის შემდეგ განუცხადა, რომ „ლივერპულის" და ეროვნული ნაკრების ფორვარდი „მსოფლიოში დღეს საუკეთესო ფეხბურთელია. თუ ზიდანი 48 მილიონად გაიყიდა, ოუენი სრული 50 ღირს. თუმცა, დღეს ის, საერთოდ ფასდაუდებელია". თავისი აღტაცება ვერ დაფარა ინგლისელმა ვეტერანმა ჯეფ ჰერსტმა (რომელსაც თავის დროზე თავადაც გაუკეთებია ჰეთ-თრიკი გერმანელებთან). მისი აზრით, „21 წლის ოუენი უკვე დღეს შედის პლანეტის საუკეთესო გოლეადორთა სამეულში, მომავალ მსოფლიო ჩემპიონატში კი მას შეუძლია ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავად იქცეს".**

## გომეში მიწვევას ელოდება და იცით, სად?

„მანჩესტერ იუნაიტედში" „ფიორენტინას" ფორვარდის ნუნუ გომეშის გადასვლაზე მისი აგენტი ალაპარაკდა. თავად გომეში აცხადებს, რომ ყველაფერი სწორია, ასეთი მოლაპარაკება ნამდვილად მიმდინარეობს და დღე-დღეზე ელოდება ალექს ფერგიუსონის მიწვევას. სავარაუდოდ, პორტუგალიაში 8 მილიონ გირვანქა სტერლინგს გადაიხდიან (11 მილიონ დოლარზე მეტი).

„ფიორენტინაც" იძულებულია გაყიდოს წამყვანი ფეხბურთელები, რათა კლუბმა თავი დააღწიოს ფინანსურ გაკოტრებას. საქმე იქამდეა მისული, რომ გომეშს თუ ინგლისელები არ იყიდიან, იმავე ფასში მისი შეძენის მსურველები სხვებიც არიან.

## „კიევო" იტალიური საოცრებაა

**ის, რასაც ახლა იტალიის ფეხბურთში ვერონას კლუბი „კიევო" აკეთებს, მეტისმეტად საყურადღებო მოვლენაა ამ ქვეყნის სპორტის ისტორიაში.**

**მოგეხსენებათ, ამ ქალაქს შარშანდელ ჩემპიონატში „სერია A"-ში ჰყავდა ამავე სახელობის წარმომადგენელი, მაგრამ თუ მას კიდევ ერთი წარმომადგენელი დაემატებოდა, არავინ უწყოდა. ეს ფანტასტიკური მიღწევა კი სწორედ „კიევოს" ეკუთვნის. კიევო ისტორიაში კარგად ცნობილი ქალაქის გარეუბანია, მცირე ბიუჯეტით, არც ვინმე ცნობილი სპონსორი ჰყავს და მისი გულშემატკივრები ღარიბ-ღატაკი ხალხია. „კიევომ" სულ სამი ათასი აბონემენტი თუ გაავრცელა და ქვეყნის ჩემპიონატის პირველ ტურში სტუმრად თვით ...„ფიორენტინა" დაამარცხა — 2-0. ახლა, როგორც ფიქრობენ, „კიევოს" თამაშზე დასასწრები აბონემენტების რიცხვი გაიზრდება. „კიევო" იმავე სტადიონზე თამაშობს, სადაც „ვერონა": „მარკო ანტონიო ბენტეგოდი" 44758 მაყურებელს იტევს. „კიევოს" მწვრთნელია ლუიჯი დელ ნერი. გუნდის ოფიციალურ განაცხადში 27 ფეხბურთელია. მათ შორის სამი ნაკლებადცნობილი უცხოელი: ბრაზილიელი ნახევარმცველები კლეიტონ და სილვა, გარდა ამისა, — ერიბერტო და თავდამსხმელი საფრანგეთის პასპორტით — მეხდი მუსტაფა კამარა.**

## ბობი რობსონი: ჯერ კლუბი, შემდეგ ნაკრები

„ნიუკასლ იუნაიტედის" მწვრთნელი ბობი რობსონი გაყიდვით დაემუქრა პერუელ ნახევარმცველ ნორბერტო სოლანოს, რომელმაც სამშობლოში გამგზავრება ამჯობინა და ეროვნული ნაკრების მატჩში მიიღო მონაწილეობა, თუმცა მშვენივრად ესმოდა, რომ ამ შემთხვევაში ვერ მოასწრებდა ინგლისში დაბრუნებას და კალენდარულ შეხვედრაში თამაშს.

## მატიანე 50 წლის წინათ

***თბილისის*** „სპარტაკის" ფეხბურთელთა გუნდმა წინასასეზონო შეკრება გაიარა ოჩამჩირეში უფროსი მწვრთნელის ა. ჟორდანიას და მწვრთნელ ვ. რამიშვილის ხელმძღვანელობით. შეკრებაზე იყვნენ: მეკარეები — ქმელკოვი, იოსელიანი და რატია, მცველები — კატანოვი, გუგუნავა, შუდრა, ხურციძე, კინწურაშვილი, გოგლიძე, ვერეცკი, ქვარიანი, კუჭავა და კახნიაშვილი, ნახევარმცველები — ნ. გაგნიძე და კუბლაშვილი, თავდამსხმელები: ლომაია, გამყრელიძე, ი. ბურჭულაძე, აროშიძე, ბერძენიშვილი, კახაძე, ოთარაშვილი და სხვ.

***ფეხბურთში*** 1950 წლის საქართველოს ჩემპიონმა და თასის მფლობელმა თბილისის ოფიცერთა სახლის გუნდმა 1951 წლის რესპუბლიკის ჩემპიონატისთვის მზადება დაიწყო ბაკურიანში. შეკრებაზე იყვნენ: მეკარეები — რ. მათევოსიანი და პ. ტიტოვი, მცველები — გ. ნიკურაძე, კ. ლოგინოვი, რ. ოსაძე და ვ. ბოლოტოვი, ნახევარმცველები — გ. ავეტისოვი და ა. ვარდიაშვილი, თავდამსხმელები — ვ. გვარამაძე, ლ. ნარიმანიძე, კ. ნაზაროვი, ნ. საკაშვილი, ა. კარაჯიანი, ვ. დანილოვი და მ. პოდლესნი. უფროსი მწვრთნელი ნ. ჩხატარაშვილი, მწვრთნელი — ი. ლობჟანიძე.

***მახარაძე.*** თბილისის ოფიცერთა სახლის გუნდმა სტუმრად ამხანაგური მატჩი ჩაატარა მახარაძის „დინამოსთან". 5-2 გაიმარჯვეს მასპინძელმა ფეხბურთელებმა.

***ზუგდიდი.*** აქ ამხანაგური მატჩი ჩაატარა მოსკოვის სამხედრო — საჰაერო ძალთა ფეხბურთელთა გუნდმა ადგილობრივ „დინამოსთან". მატჩი მოიგეს სტუმრებმა 2-0. სამაგიეროდ, მეორე მატჩში ზუგდიდელებმა სტუმართა დუბლშემადგენლობას აჯობეს 2-1.

# 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი

2002 FIFA WORLD CUP KOREA JAPAN



ბოსნია — ისრაელი

## ევროპა

### I ჯგუფი

*სლოვენია — რუსეთი 2-1*
1-0 ოსტერცი (62), 1-1 ტიტოვი (72), 2-1 აჩიმოვიჩი (90 პენ)
*შვეიცარია — იუგოსლავია 1-2*
1-0 იაკინი (24), 1-1 მილოშევიჩი (39), 1-2 კრსტაიჩი (74)
*ფარერები — ლუქსემბურგი 1-0*
ი. ჰანსენი (85 პენ)

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუსეთი | 8 | 5 | 2 | 1 | 11-4 | 17 |
| სლოვენია | 8 | 4 | 4 | 0 | 13-8 | 16 |
| იუგოსლავია | 8 | 4 | 3 | 1 | 15-5 | 15 |
| შვეიცარია | 8 | 3 | 2 | 3 | 15-8 | 11 |
| ფარერები | 8 | 2 | 1 | 5 | 6-17 | 7 |
| ლუქსემბურგი | 8 | 0 | 0 | 8 | 2-19 | 0 |

### II ჯგუფი

*ირლანდია — ჰოლანდია 1-0*
მაკეიტირი (68)
*ანდორა — პორტუგალია 1-7*
0-1 ნუნუ გომეში (36), 0-2 ნუნუ გომეში (39), 0-3 პაულეტა (40), 1-3, იონასი (42), 1-4 ნუნუ გომეში (44), 1-5 რუი კორეა (45), 1-6 სერჟიო კონსეისაო (58), 1-7 ნუნუ გომეში (90).

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ირლანდია | 9 | 6 | 3 | 0 | 19-5 | 21 |
| პორტუგალია | 8 | 5 | 3 | 0 | 25-6 | 18 |
| ჰოლანდია | 8 | 4 | 2 | 2 | 21-9 | 14 |
| ესტონეთი | 8 | 2 | 2 | 4 | 10-16 | 8 |
| კვიპროსი | 8 | 2 | 2 | 4 | 12-24 | 8 |
| ანდორა | 9 | 0 | 0 | 9 | 5-31 | 0 |



ბელარუსი — უკრაინა

### III ჯგუფი

*დანია — ჩრ. ირლანდია 1-1*
1-0 რომედალი (3), 1-1 მალრეინი (73)
*მალტა — ბულგარეთი 0-2*
ბერბატოვი (60, 70)
*ისლანდია — ჩეხეთი 3-1*
1-0 სვერისონი (45), 2-0 სიგბორსონი (66), 3-0 სვერისონი (77), 3-1 იაკულოვსკი (88).

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბულგარეთი | 8 | 5 | 2 | 1 | 14-7 | 17 |
| დანია | 8 | 4 | 4 | 0 | 14-6 | 16 |
| ჩეხეთი | 8 | 4 | 2 | 2 | 11-6 | 14 |
| ისლანდია | 8 | 4 | 1 | 3 | 14-11 | 13 |
| ჩრ. ირლანდ. | 8 | 1 | 2 | 5 | 7-12 | 5 |
| მალტა | 8 | 0 | 1 | 7 | 2-20 | 1 |

### IV ჯგუფი

*მაკედონია — შვედეთი 1-2*
0-1 ლარსონი (28), 0-2 ა. ანდერსონი (33), 1-2 ნასევსკი (63)
*მოლდოვა — აზერბაიჯანი 2-0*
კლეშჩენკო (14), კოვალჩუკი (85)

*სლოვაკეთი — თურქეთი 0-1*
ჰაქან შუქური (34)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შვედეთი | 8 | 6 | 2 | 0 | 15-2 | 20 |
| თურქეთი | 8 | 5 | 3 | 0 | 14-6 | 18 |
| სლოვაკეთი | 8 | 3 | 2 | 3 | 7-7 | 11 |
| მაკედონია | 8 | 1 | 3 | 4 | 9-12 | 6 |
| მოლდოვა | 8 | 1 | 3 | 4 | 4-13 | 6 |
| აზერბაიჯანი | 8 | 1 | 1 | 6 | 3-13 | 4 |

### V ჯგუფი

*ბელარუსი — უკრაინა 0-2*
შევჩენკო (45,56)
*უელსი — სომხეთი 0-0*
*პოლონეთი — ნორვეგია 3-0*
კრიჟალოვიჩი (45), ოლისადებე (76), ქევლაკოვი (87)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პოლონეთი | 8 | 6 | 2 | 0 | 19-6 | 20 |
| უკრაინა | 8 | 3 | 4 | 1 | 9-7 | 13 |
| ბელარუსი | 8 | 3 | 3 | 2 | 8-9 | 12 |
| უელსი | 8 | 0 | 6 | 2 | 7-9 | 6 |
| სომხეთი | 8 | 0 | 5 | 3 | 6-12 | 5 |
| ნორვეგია | 8 | 0 | 4 | 4 | 5-11 | 4 |

### VI ჯგუფი

*შოტლანდია — ხორვატია 0-0*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბელგია | 6 | 4 | 2 | 0 | 23-5 | 14 |
| ხორვატია | 6 | 3 | 3 | 0 | 10-2 | 12 |
| შოტლანდია | 6 | 3 | 3 | 0 | 10-3 | 12 |
| ლატვია | 7 | 1 | 1 | 5 | 4-14 | 4 |
| სან მარინო | 7 | 0 | 1 | 6 | 3-26 | 1 |

### VII ჯგუფი

*ბოსნია — ისრაელი 0-0*
*ესპანეთი — ავსტრია 4-0*
დიეგო ტრისტანი (45), მორიენტესი (80,84), მენდიეტა (90).

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 7 | 5 | 2 | 0 | 19-4 | 17 |
| ისრაელი | 7 | 3 | 2 | 2 | 10-6 | 11 |
| ავსტრია | 6 | 3 | 2 | 1 | 7-7 | 11 |
| ბოსნია | 6 | 1 | 2 | 3 | 7-10 | 5 |
| ლიხტენშტ. | 6 | 0 | 0 | 6 | 0-16 | 0 |

### VIII ჯგუფი

*ლიტვა — იტალია 0-0*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იტალია | 7 | 5 | 2 | 0 | 15-3 | 17 |
| რუმინეთი | 6 | 4 | 0 | 2 | 7-6 | 12 |
| უნგრეთი | 6 | 2 | 2 | 2 | 14-10 | 8 |
| საქართველო | 6 | 2 | 0 | 4 | 9-11 | 6 |
| ლიტვა | 7 | 0 | 2 | 5 | 3-18 | 2 |



სლოვენია — რუსეთი

### IX ჯგუფი

*ალბანეთი — ფინეთი 0-2*
ტაინიო (57), კუგი (90)
*გერმანია — ინგლისი 1-5*

1-0 იანკერი (6), 1-1 ოუენი (13), 1-2 ჯერარდი (45), 1-3 ოუენი (48) 1-4 ოუენი (66), 1-5 ჰესკი (74)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გერმანია | 7 | 5 | 1 | 1 | 14-10 | 16 |
| ინგლისი | 6 | 4 | 1 | 1 | 12-4 | 13 |
| ფინეთი | 6 | 2 | 2 | 2 | 7-6 | 8 |
| საბერძნეთი | 6 | 2 | 0 | 4 | 4-10 | 6 |
| ალბანეთი | 7 | 1 | 0 | 6 | 5-12 | 3 |



ტაილანდი — ირანი

## აზია

### A ჯგუფი

საუდის არაბეთი — ერაყი 1-0
ტაილანდი — ირანი 0-0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაჰრეინი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-1 | 4 |
| ირანი | 2 | 1 | 1 | 0 | 2-0 | 4 |
| საუდ. არაბ. | 3 | 1 | 1 | 1 | 2-3 | 4 |
| ერაყი | 3 | 1 | 0 | 2 | 4-3 | 3 |
| ტაილანდი | 2 | 0 | 1 | 1 | 0-4 | 1 |

### B ჯგუფი

საემიროები — ყატარი 0-2
ომანი — ჩინეთი 0-2

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩინეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 5-0 | 6 |
| ყატარი | 3 | 1 | 1 | 1 | 3-2 | 4 |
| საემიროები | 3 | 1 | 0 | 2 | 4-6 | 3 |
| უზბეკეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-5 | 3 |
| ომანი | 2 | 0 | 1 | 1 | 0-2 | 1 |

## კონკაკაფი

**აშშ — ჰონდურასი 2-3**
**ტრინ. და ტობაგო — კოსტა რიკა 0-2**
**იამაიკა — მექსიკა 1-2**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოსტა რიკა | 7 | 5 | 1 | 1 | 14-7 | 16 |
| აშშ | 7 | 4 | 1 | 2 | 9-5 | 13 |
| ჰონდურასი | 7 | 3 | 2 | 2 | 16-13 | 11 |
| მექსიკა | 7 | 3 | 1 | 3 | 10-9 | 10 |
| იამაიკა | 7 | 2 | 2 | 3 | 6-10 | 8 |
| ტრინ.და ტობ. | 7 | 0 | 1 | 6 | 4-15 | 1 |



## ამხანაგური მატჩი

**ჩილე — საფრანგეთი 2–1**

**ჩილე:** ს. ვარგასი (ტაპია 71), აროსი (პერესი 68), ხ. ვარგასი, რ. როხასი (ფუენტესი 77), რეიესი, ფ. როხასი, გალდამესი, აკუნია, ტელო, სამორანო (ნუნიესი 86), ნავია (მონტესინოსი 59).
**საფრანგეთი:** რამე, ტურამი (სანიოლი 87), დესაი (ლებეფი 45), სილვესტრი, ლიზარაზუ, ვიეირა (მაკელელე 62), პეტი, ზიდანი, პირესი (მარლე 68), ვილტორდი (ანრი 45), ტრეზეგე.
***გოლები:*** გალდამესი (3), ნავია (51), ტრეზეგე (73)

ეს იყო „ივანე მრისხანედ“ წოდებული ჩილეს ნაკრების ფორვარდის ივან სამორონოს გამოსათხოვარი მატჩი. სამორონო ფეხბურთიდან არ წასულა, ის აგრძელებს თამაშს მექსიკის საკლუბო გუნდში.

შეხვედრის მე-3 წუთზე მისი გადაცემით გ ლდამესიმ გახსნა ანგარიში. ამის შემდეგ ფრანგებს ჰქონდათ რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი ანგარიშის გასათანაბრებლად, მაგრამ ტრეზეგესა და ზიდანის დარტყმები უზუსტო იყო. შეხვედრის 51-ე წუთზე ნავიამ გაზარდა ანგარიში, ფრანგებმა მოახერხეს მხოლოდ ერთი საპასუხო ბურთის გატანა (ტრეზეგე) და შეხვედრა დამთავრდა ჩილეს ნაკრების გამარჯვებით.



სამორანო

# ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი

21 UEFA UNDER-21 Championship

### I ჯგუფი

შვეიცარია — იუგოსლავია 2-2
სლოვენია — რუსეთი 1-3

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუსეთი | 7 | 4 | 2 | 1 | 20-6 | 14 |
| შვეიცარია | 6 | 3 | 3 | 0 | 16-7 | 12 |
| იუგოსლავია | 6 | 2 | 3 | 1 | 12-10 | 9 |
| სლოვენია | 7 | 2 | 2 | 3 | 9-8 | 8 |
| ლუქსემბურ. | 6 | 0 | 0 | 6 | 1-27 | 0 |

### II ჯგუფი

ირლანდია — ჰოლანდია 1-1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუგალია | 6 | 5 | 1 | 0 | 18-3 | 16 |
| ჰოლანდია | 7 | 4 | 2 | 1 | 14-7 | 14 |
| ირლანდია | 7 | 3 | 1 | 3 | 7-7 | 10 |
| კვიპროსი | 6 | 2 | 0 | 4 | 8-14 | 6 |
| ესტონეთი | 6 | 0 | 0 | 6 | 2-18 | 0 |

### III ჯგუფი

ისლანდია — ჩეხეთი 0-1
მალტა — ბულგარეთი 2-2
დანია — ჩრ. ირლანდია 2-0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩეხეთი | 8 | 7 | 0 | 1 | 17-5 | 21 |
| ბულგარეთი | 8 | 4 | 3 | 1 | 13-8 | 15 |
| დანია | 8 | 3 | 3 | 2 | 13-9 | 12 |
| ისლანდია | 8 | 2 | 2 | 4 | 10-12 | 8 |
| ჩრ. ირლან. | 8 | 2 | 1 | 5 | 9-16 | 7 |
| მალტა | 8 | 0 | 3 | 5 | 3-15 | 3 |

### IV ჯგუფი

სლოვაკეთი — თურქეთი 0-1
მოლდოვა — აზერბაიჯანი 1-0
მაკედონია — შვედეთი 1-1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| თურქეთი | 8 | 6 | 1 | 1 | 13-3 | 19 |
| შვედეთი | 8 | 5 | 3 | 0 | 18-2 | 18 |
| სლოვაკეთი | 8 | 4 | 2 | 2 | 12-6 | 14 |
| მოლდოვა | 8 | 2 | 1 | 5 | 4-11 | 7 |
| აზერბაიჯანი | 8 | 1 | 2 | 5 | 3-17 | 5 |
| მაკედონია | 8 | 1 | 1 | 6 | 5-16 | 4 |

### V ჯგუფი

პოლონეთი — ნორვეგია 3-0
ბელარუსი — უკრაინა 1-2
უელსი — სომხეთი 1-1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უკრაინა | 8 | 5 | 1 | 2 | 13-10 | 16 |
| ნორვეგია | 8 | 5 | 0 | 3 | 19-10 | 15 |
| პოლონეთი | 8 | 4 | 2 | 2 | 14-11 | 14 |
| ბელარუსი | 8 | 4 | 0 | 4 | 16-10 | 12 |
| სომხეთი | 8 | 3 | 2 | 3 | 8-14 | 11 |
| უელსი | 8 | 0 | 1 | 7 | 3-18 | 1 |

### VI ჯგუფი

შოტლანდია — ხორვატია 1-1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბელგია | 4 | 4 | 0 | 0 | 8-1 | 12 |
| ხორვატია | 5 | 2 | 2 | 1 | 8-6 | 8 |
| შოტლანდია | 4 | 1 | 1 | 2 | 5-6 | 4 |
| ლატვია | 4 | 0 | 1 | 4 | 3-11 | 1 |

### VII ჯგუფი

ესპანეთი — ავსტრია 2-0
ბოსნია — ისრაელი 2-4

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 7 | 5 | 1 | 1 | 13-4 | 16 |
| საფრანგეთი | 6 | 4 | 2 | 0 | 12-6 | 14 |
| ისრაელი | 7 | 3 | 0 | 4 | 11-12 | 9 |
| ავსტრია | 6 | 1 | 2 | 3 | 4-8 | 5 |
| ბოსნია | 6 | 0 | 1 | 5 | 4-14 | 1 |

### VIII ჯგუფი

ლიტვა — იტალია 0-3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იტალია | 7 | 6 | 1 | 0 | 14-3 | 19 |
| უნგრეთი | 6 | 4 | 0 | 2 | 9-6 | 12 |
| რუმინეთი | 6 | 3 | 1 | 2 | 8-3 | 10 |
| ლიტვა | 7 | 2 | 0 | 5 | 4-13 | 6 |
| საქართველო | 6 | 0 | 0 | 6 | 4-14 | 0 |

### IX ჯგუფი

გერმანია — ინგლისი 1-2
ალბანეთი — ფინეთი 3-0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გერმანია | 7 | 4 | 1 | 2 | 16-7 | 13 |
| საბერძნეთი | 6 | 4 | 1 | 1 | 10-4 | 13 |
| ინგლისი | 6 | 3 | 2 | 1 | 11-17 | 11 |
| ფინეთი | 6 | 1 | 1 | 4 | 7-15 | 4 |
| ალბანეთი | 7 | 1 | 1 | 5 | 3-14 | 4 |



# ბილწსიტყვა შფოთისთავი დევიდ ბექჰემი — რომანტიკოსის სასტიკი დაცემა

**ანგელოზური** გარეგნობით მან ათეულობით სარეკლამო კომპანიების ყურადღება ჯერ კიდევ მაშინ მიიპყრო, როცა დიდ სპორტში პირველ ნაბიჯებს დგამდა. იმიჯმეიკერები მისგან სამაგალითო ბიჭის კერპის გამოძერწვას შეუდგნენ. სწორედ ამიტომ ბექჰემის პირველ კონტრაქტებში მისი სათანადო ვარცხნილობაც იყო გათვალისწინებული: დევიდს, გრძელი თმა — რომანტიკულობის ხელშეუვალი ატრიბუტი, ამავე დროს თავის თავში დარწმუნებული გმირის იერი უნდა ჰქონოდა. პირველ ხანებში დევიდი ამართლებდა მოლოდინს. დაუყოვნებლივ ასრულებდა სპონსორების ყველა მოთხოვნას, ამასთან, ჩინებულად თამაშობდა ფეხბურთს. მასზე ათასობით ბიჭი ლოცულობდა, და დევიდმა თმა რომ შეიღება, მეორე დღესვე, ლამის, ნახევარმა ინგლისმა მიბაძა! თითქოს, კერპი შეიქმნა, რაც აღარავითარ ეჭვს არ იწვევდა... და აქ ბიჭუნამ, რომელიც გუშინ თავისი სახელოვანი მეტოქეების ავტოგრაფებზე ოცნებობდა, სრულიად მოულოდნელად ტლინკები ჰყარა.

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ რომანტიკოსი მინდორზე მტაცებელ მხეცად იქცეოდა, რომელიც უმოწყალოდ უსწორდებოდა ყველას, ვინც ბურთის დასაუფლებლად, ხელს შეუშლიდა. პლანეტის საუკეთესო ნახევარმცველისათვის ბუცით „მომაკვდინებელი“ დარტყმა საუკეთესო ილეთად იქცა. გარკვეულ დრომდე სპორტული საზოგადოებრიობა, უბრალოდ, ხელებს შლიდა, ყველა გაოცებული იყო, ამ ჭაბუკს საიდან აქვს ასეთი სისასტიკე. ალბათ, ასეც გაგრძელდებოდა, ის კოშმარული ეპიზოდი რომ არა, ინგლისელები დღემდე ძრწოლვით რომ იხსენებენ.



1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატი, მატჩი — არგენტინა-ინგლისი. ფეხბურთის ფუძემდებელ ინგლისელებს ნაღდი შანსი ჰქონდათ გასულიყვნენ მომდევნო წრეში — 1/4 ფინალში, და ყველაფერი წყალში გადაუძახა დევიდ ბექჰემმა. მინდორზე გაშხლართულმა დევიდმა მოახერხა წიხლი ჩაეცხო მეტოქისათვის, რაზეც მსაჯმა ცხვირწინ წითელი ბარათი აუფრიალა. მისი გაგდების შემდეგ ინგლისელებმა ყოველგვარი იმედი დაკარგეს, და არგენტინელები წავიდნენ წინ.

ამას დევიდს, ინგლისში, რა თქმა უნდა, არავინ აპატიებდა. ბექჰემის დევნა პრესაში შეურაცხყოფით დაიწყო. საკმარისი იყო იგი ბურთს შეხებოდა, რომ სტადიონებზე ღრიანცელი ამტყდარიყო. ბექჰემს სახლთან ყოველ საათს უსაფრთხოებოდნენ პაპარაცები, ყოველდღიურად იღებდა მუქარისა და სალანძღავ წერილებს. ერთხელ გაუგზავნეს ტყვიაც, რომელზეც ამოტვიფრული იყო მისი სახელი... ალბათ, სხვა დიდი ხნის გადასული იქნებოდა ჭკუაზე... მაგრამ დევიდის გატეხვა ვერ მოახერხეს. მეტიც, იგი არც ცდილა ფანატების წინაშე თავის მართლებას, რასაც მათი სრული გააფრთება მოჰყვებოდა. მას პრესის საშუალებით მონანიებას სთხოვდნენ, მაგრამ, ფეხბურთელი თითქოს ვერ ხვდებოდა. მან მონახა სხვა გამოსავალი — თამაში დაიწყო ისე, რომ ყოველი მისი ჩაწოდება ან გოლი პატარა შედევრად იქცეოდა. საშინელება კი ის იყო, რაც უფრო უკეთესად თამაშობდა ბექჰემი, მით უფრო ულმობელი ხდებოდა. მაშინ დაირხა ხმები მის შეურაცხადობაზე. ამას წინათ, ლონდონის ერთ-ერთ უნივერსიტეტში შემოიღეს ახალი საგანი ბექჰემფსიქოლოგია! „მთელი მსოფლიოს სტუდენტები შეეცდებიან უძნელესი ამოცანის გარკვევას — ნორმალური ადამიანი როგორ იქცა მონსტრად“ — ასე განსაზღვრა პროფესურამ ამ სიახლის არსი.

## შენი დედა, სერ ალექს!

თუ ადრე დევიდი მარტო მინდორზე გამოირჩეოდა სკანდალური გამოხდომებით, ახლა შესაძლებლად მიიჩნია ხელი აღემართა წითელი ეშმაკების „წმინდა ძროხაზე — თვით მანჩესტერელთა მთავარ მწვრთნელ სერ ალექს ფერგიუსონზე, რომელმაც „მანჩესტერი“, მსოფლიოს საუკეთესო გუნდად აქცია. და ასეთ ადამიანს კლუბის საუკეთესო მოთამაშე მოურიდებლად აგინებდა დედას, — რაზეც ფერგიუსონი უყოყმანოდ იგივეს პასუხობდა, ფერგიუსონს სამართლიანად უწოდებენ ბექჰემის მამას. დევიდი, სრულიად გამოუცდელი ბიჭი, მოხვდა მის ხელში, რომლისგანაც ალექსმა „მანჩესტერ იუნაიტედის“ გვირგვინში ყველაზე ბრწყინვალე ბრილიანტად აქცია. ინგლისიში იმის შესახებ თავისებური გაგებაა, როგორი უნდა იყოს ფეხბურთელი, — და ფერგი იღვწის თავის თავის ხელქვეითებს შთაუნერგოს, რომ კერპი მშვიდ ცხოვრებას უნდა ეწეოდეს, თვალში არავის ეჩხირებოდეს და მთლიანად თავი მისცეს ფეხბურთს. დევიდი ასე იქცეოდა, სანამ „სპაის გიორზლის“ ჯგუფის მომღერალ ვიქტორია ადამსს გადაეყრებოდა. ამ შეხვედრას ინგლისელების შოკი მოჰყვა, ლამაზმანმა ის არ იკმარა, რომ თავად მივიდა სუფრასთან, რომელსაც ბექჰემი მატჩის შემდეგ უჯდა — შესთავაზა გაცნობის სადღეგრძელო შეესვა და პაემანიც დაუნიშნა...



„ვიჯექი და თვალს ვერ ვუსწორებდი მას, — ყვებოდა მერე დევიდი. — ვიქტორი რომ წავიდა, ვიფიქრე, ეს რა ლენჩი ვარ, ტელეფონის ნომერიც კი ვერ ვთხოვე. მაგრამ მიხარია, ასეთი დაჟინებული რომ აღმოჩნდა“...

ვიკიმ ბექჰემის შემდგომ ცხოვრებაში თითქოს მთავარი როლი შეასრულა. „დევიდი თამაშებზე თავისი ჩქაროსნული თვითმფრინავით ჩადიოდა, თანდათან შორდებოდა გუნდს — ჩიოდა მწვრთნელი. დევიდსის საქციელით სერ ალექსი პირდაპირ ცოფდებოდა, რასაც წერტილი დაუსვა მომდევნო ეპიზოდმა.

ერთ მშვენიერ დღეს ვიკი ძალზე მნიშვნელოვან შეხვედრაზე წავიდა და ქმარს ავადმყოფი ბავშვი ბრუკლინი დაუტოვა. მეორე დღეს ვიკამ „მაღაზიებში გასეირნება გადაწყვიტა მოდური „ჩვრების“ შესაძენად“, — როგორც შემდეგ განუცხადა გულუბრყვილოდ აცრემლებულმა ჟურნალისტებს. ბექჰემმა, „დამჯერმა ბიჭუნამ“ კლუბში დარეკა და უთხრა, რომ ბავშვთან უნდა დარჩეს, ვინაიდან მას მარტოკას ვერ დატოვებს შინ. „საბრალო ბექჰემი, დღე და ღამე შრომობს. პატარის მოვლაც უხდება, პამპერსებს უცვლის“ — ლაპარაკობდნენ ნიშნის მოგებით ჟურნალისტები. ამ ვარჯიშის მომსწრენი სიამოვნებით აღწერდნენ ფერგიუსონის რეაგირებას მიზეზზე, რატომაც არ გამოცხადდა ფეხბურთელი წვრთნაზე: „აძაგძაგდა და დაიყმუვლა, რომ ეშმაკის ძუძუნაწოვი მის კლუბში აღარ იქნება!“ და მართლაც, მეორე დღეს „სამაგალითო მამიკო“ მეცადინეობაზე რომ მივიდა, ფერგიუსონმა შემზარავი ხმით იყვირა: „ჯანდაბას იქით გქონია გზა! თუ გგონია რომ გვჭირდები? ძალიან შემცდარხარ, თამაშში არ გამოხვალ!“ თავის მხრივ არც ბექჰემს დაუკლია და საპასუხოდ ჯიბეში არ ჩაუყვია ხელი... და, უთხრა ყველაფერი, რასაც ფერგიუსონზე ფიქრობდა, და შინ გასწია, სკანდალი, როგორღაც ჩაცხრა, მაგრამ „მიუს“ საუკეთესო მოთამაშე, მას შემდეგ, სათადარიგოთა სკამზე თუ გამოჩნდებოდა.

## ცოლის ბიკინებს იზომავს

მაგრამ ვიქტორია განაგრძობდა ქმრის ახალ-ახალ სკანდალებში ჩათრევას. „ეს ქალიშვილი თითქოს განგებ მიშლის ნერვებს“ — აღშფოთებული იყო ფერგიუსონი. მაგალითად, ერთ-ერთ ამასწინანდელ ინტერვიუში ინგლისურ ტელევიზიაში განაცხადა, რომ დევიდი იცვამს მის ... ტრუსებს. ეს მათი, ერთგვარი თავშესაქცევი, ასეთი სიყვარული ყოფილა! შემდეგ კი მიხვდა, რომ ზედმეტი წამოროშა, მაგრამ წამყვანი არ მოეშვა: „მის ბექჰემ, მაინც დააზუსტეთ, როგორი ტრუსები მოსწონს უფრო თქვენს კეთილმსახურ ქმარს — მაქმანიანი თუ ბიკინი? — „წარმოიდგინეთ, ორივე“ — უპასუხა მან. ამის შემდეგ სერიოზულმა „ტაიმსმაც“ კი არ დააყოვნა ფეხბურთელი რომ გაექირდა: „საინტერესოა, როგორ ახერხებს ბიკინის ჩაცმას?“ ასეთი ხმების გამო გაბეზრებული იყო მარტო საბრალო ფერგიუსონი კი არა, მთელი თავშეკავებული ინგლისიც.

ახლა უკვე სერიოზულად ლაპარაკობენ იმის შესახებ, რომ დევიდს ცოლის შერთვა სიკეთეს არ მოუტანს — შოუ-ბიზნესმა შეიძლება დაღუპოს თანამედროვეობის ერთ-ერთი საუკეთესო ჰავბეკის კარიერა. ევროპის ამასწინანდელმა ჩემპიონატმა დაგვანახვა, რომ ბექჰემის კრიტიკა არც თუ ისე შორსაა ჭეშმარიტებასთან... გახსოვთ, რა სამარცხვინოდ გავარდა ინგლისი ქვეჯგუფიდან? არამშვიდობისმოყვარე ინგლისელმა გულშემატკივრებმა გამორჩეული ლანძღვა-გინებით აიკლეს თავისი გუნდი. დევიდმა იცოდა რა, მატჩს ასობით ქვეყანაში გადასცემდნენ, თავის ფანებს ბილწსიტყვაობა არ მოაკლო... კვირის ყველაზე პოპულარული სურათი კი მაშინ ის იყო, რომელზეც აღბეჭდა რეპორტიორმა, იგი რაღაცას რომ უყვირის მათ და ზეაღმართულ შუათითს უჩვენებს... „კი, იგი არაფრად გვაგდებს“, — აღშფოთებულები იყვნენ ფანები. დევიდი კი, თითქოს ამტკიცებდა, რომ ყველაფერი ფეხებზე ჰკიდია და თავისი მეგობრის ელტონ ჯონის მიერ მოწყობილ მორიგ საღამოზე წავიდა.

## საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

### „რომას“ კუფური სურს

**„რომას“ დაცვითი ხაზის გაძლიერების მიზნით მიუნხენის „ბაიერნის“ ცნობილი შავკანიანი მცველის სამუელ კუფურის მიწვევა სურს. კუფური თანახმაა — ძალიან მოსწონს იტალიური ფეხბურთი და თავს „ტრაპატონის შვილს“ უწოდებს.**

**„რომა“ თანახმაა ამ ფეხბურთელში 24 მილიონი დოლარი გადაიხადოს, თვით კუფურს კი ოთხწლიან კონტრაქტს სთავაზობს, თანაც მცველი ყოველწლიურად 4,5 მილიონ დოლარს მიიღებს.**

### ერთი გასაგებია, მეორე კი...

ვენური დერბის „აუსტრია“ — „რაპიდის“ (2-1) შემდეგ ერთდროულად გაათავისუფლეს ორივე კლუბის მთავარი მწვრთნელები.

თუ „რაპიდის“ მწვრთნელ ერნსტ დოკუპილის განთავისუფლება გასაგები იყო, არავინ იცის, რატომ მოხსნეს „აუსტრიას“ ხელმძღვანელი, ცნობილი ჰოლანდიელი სპეციალისტი არი ჰაანი.

### ასეთი საქციელისათვის სჯიან

**შესაძლოა, ჩეხეთის ნაკრები დაატოვებინონ ცნობილ მცველ თომას რეპკას, რომელიც „ფიორენტინაში“ თამაშობს. საქმე ის არის, რომ იგი სამხრეთ კორეასთან შეხვედრის წინ არ გამოცხადდა ნაკრების შეკრებაზე.**

**როგორც ჩეხეთის ნაკრების ხელმძღვანელობამ შეიტყო, ამ დროს რეპკა ლონდონში იმყოფებოდა, სადაც მოლაპარაკება ჰქონდა „ვესტ ჰემ იუნაიტედთან“.**

### მეტი რაღა ჯანი იყო: ბანკიდან სესხი აიღეს

არგენტინის ფეხბურთის ფედერაციამ დიდი გაჭირვებით შეძლო პროფესიონალი ფეხბურთელების ხანგრძლივი გაფიცვის შეწყვეტა. საქმე ის არის, რომ კლუბებს ფეხბურთელების დიდი [illegible] უხდიდნენ.

კონფლიქტი მას შემდეგ ამოიწურა, რაც ფეხბურთის ფედერაციამ ეროვნული ბანკისაგან სესხი აიღო და მხოლოდ ამ გზით შეძლო ხელფასების მნიშვნელოვანი ნაწილის გასტუმრება.

### მოგება სერიოზულია

**როგორც ტურინის „იუვენტუსის“ მენეჯერმა ანტონიო ჯიდიდომ განაცხადა, კლუბმა 2000-2001 წლების სეზონი 12 მილიარდი ლირის (5,8 მილიონი ევრო) მოგებით დაასრულა. ეს 5 პროცენტით მეტია, ვიდრე წინა წლის შემოსავალი.**

### თქვენთვის, ერუდიტებო!

***1. რომელმა ფეხბურთელმა გაიტანა ორ მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში გოლი:***

ა) ბრაიტნერი
ბ) მარადონა
გ) მიულერი

***2. რამდენი ნაკრები მონაწილეობდა პირველ მსოფლიო ჩემპიონატში (1930 წ):***

ა) 16
ბ) 13
გ) 8

***3. ვინ გახდა მესამე მსოფლიო ჩემპიონატის (1938 წ) საუკეთესო ბომბარდირი:***

ა) ლეონიდასი (ბრაზილია)
ბ) ქენგელერი (უნგრეთი)
გ) პიოლა (იტალია)

***4. ვინ იცავდა 1986 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ შეხვედრაში (არგენტინა — გფრ) არგენტინის ნაკრების კარს:***

ა) გოიკოეჩეა
ბ) პუმპიდო
გ) იხლასი

***5. ვინ იყო 1978 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური შეხვედრის მთავარი მსაჯი:***

ა) რუისი (ურუგვაი)
ბ) ლინ მაიერი (ავსტრია)
გ) გონელა (იტალია)

წინა ნომრის პასუხები:
1 — ა, 2 — ბ, 3 — ა,
4 — ა, 5 — ბ.

### „საპატიო ელჩი“ უწოდეს

**ინგლისელმა მიმომხილველებმა „მანჩესტერ იუნაიტედის“ ახლანდელ მთავარ მწვრთნელ ალექს ფერგიუსონს „საპატიო ელჩი“ უწოდეს იმ მოვალეობისათვის, რომელიც მას 2002 წლიდან კლუბში ექნება — მრჩევლის როლს შეასრულებს, ე.ი. რაიმე რეალურ ფუნქციას არ მიიღებს. ამისათვის ფერგიუსონს 900 ათასი გირვანქა სტერლინგი ხელფასი ექნება წელიწადში.**

**ამასობაში ფერგიუსონი თავის უკანასკნელ, 2001-2002 წლების სეზონში ჩემპიონობის შენარჩუნებას აპირებს. ამ სეზონისათვის მწვრთნელი მეტად მაღალ ხელფასს — 5 მილიონ გირვანქა სტერლინგს მიიღებს.**

### „რეალს“ არაფერი მართებს“

ასეთი განცხადება გააკეთა მადრიდის „რეალის“ ხელმძღვანელობამ. ეს მოჰყვა საგაზეთო ინფორმაციას, თითქოს „სამეფო კლუბს“ დღემდე ლონდონის „არსენალის“ 8 მილიონი გირვანქა სტერლინგი მართებს. ამ ორი წლის წინათ ფრანგ თავდამსხმელ ნიკოლა ანელკას გადმოყვანისთვის.

### ჭკვიანური გადაწყვეტილება

**იტალიაში შეიქმნა სპეციალური ფონდი, რომელშიც ფულს შეიტანენ პროფესიონალ ფეხბურთელთა ლიგა, იტალიელ ფეხბურთელთა ასოციაცია და იტალიის ფეხბურთის ფედერაცია. ამ ფონდიდან გადაურიცხავენ თანხებს იტალიის დაბალი დივიზიონების კლუბებს, რაც ნიჭიერი ახალგაზრდა ფეხბურთელების აღზრდას მოხმარდება.**

**მიღწეულია შეთანხმება, რომ ახლახან დაწყებულ სეზონში „სერია C-1“-ის კლუბებს, როგორც მინიმუმი, ოთხი ფეხბურთელი მაინც უნდა ჰყავდეთ, რომელთაც 20 წელი არ შესრულებიათ, როგორც მინიმუმი, ხუთი ფეხბურთელი კი „სერია C-2“-ის კლუბებს.**

### კამაჩო აგრძელებს კონტრაქტს

ესპანეთის ნაკრების მწვრთნელმა ხოსე ანტონიო კამაჩომ გააგრძელა თავისი კონტრაქტი ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციასთან 2004 წლამდე. კამაჩო თვლის, რომ თუ ნაკრები გავა ჯგუფიდან, მაშინ ფინალურ სტადიაში მინიმუმ, მეოთხედფინალამდე მიაღწევს.

## საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## რამდენი მოჭადრაკეა „ელიტაში“?

ხშირად ხმარობენ გამოთქმას: „საჭადრაკო ელიტა“, „ელიტური ჯგუფი“ და ა.შ. განსაზღვრა შეიძლება რამდენადმე პირობითია, მაგრამ თუ ამ ჯგუფს არ მიეკუთვნები, ე.წ. სუპერტურნირში არავინ მიგიწვევს, წინასწარ ექსტრა-ჰონორარს არავინ მოგცემს, ერთი სიტყვით, მეტნაკლებად არაპრივილიგირებულთა შორის ხარ.

ამასთან, სრულიად არაოფიციალურად, მაგრამ სინამდვილეში მაინც არსებითად შეიძლება ლაპარაკი იმ მოჭადრაკეებზე, რომლებიც ამ უმაღლეს ფენას განეკუთვნიან. ესენია დიდოსტატები, რომელთა რეიტინგი გახლავთ 2700 და მეტი. დიდხანს ეს ფენა ძალზე მცირერიცხოვანი იყო, შემდეგ კი თანდათან გაიზარდა.

ახლა „საჭადრაკო ელიტაში“ 14 დიდოსტატი შედის. ეს რიცხვი უცვლელად დარჩება იანვრამდე, შემდეგ კი მოხდება ცვლილებები: ან გაიზრდება, ანდა, შესაძლებელია კიდეც შემცირდეს.

მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ერთი წელიწადია, რაც მსოფლიო ჩემპიონის წოდება დაკარგა, პირველ ადგილს მაინც გარი კასპაროვი ინარჩუნებს (2838). ეს გასაგებიც არის, მან ხომ ბრწყინვალე სტილით გაიმარჯვა ისეთ სუპერტურნირებში, როგორიც ვეიკან- ზეე (ჰოლანდია), ლინარესი (ესპანეთი) და ასტანა (ყაზახისტანი).

კასპაროვს დიდი მანძილით ჩამორჩება მსოფლიო ჩემპიონი. „ინტელექტუალური თამაშების ასოციაციის“ ვერსიით ვლადიმირ კრამნიკი (რუსეთი, 2802), მსოოფლიო ჩემპიონობის მოპოვების შემდეგ მისი ერთადერთი, მაგრამ თვალსაჩინო წარმატება იყო პირველი ადგილი დორტმუნდში (გერმანია).

შეიძლება ახალი რეიტინგ-ლისტის შედგენისას სერიოზულად დაზარალდეს ამჟამად მესამე ადგილზე მყოფი, მსოფლიო ჩემპიონი ფიდეს ვერსიით, ინდოელი ვიშვანათან ანანდი (2794). საქმე ის არის, რომ დიდოსტატების ტურნირზე დორტმუნდში, სადაც კრამნიკმა გაიმარჯვა, ანანდმა დაიკავა ბოლო ადგილი, რაც სრულიად შეუფერებელია არა მარტო მსოფლიო ჩემპიონისათვის, არამედ საერთოდ, ექსტრა – კლასის დიდოსტატისათვის.

ეს პირველი სამეული თვალსაჩინო მანძილით უსწრებს ყველა წამყვან დიდოსტატს. 24 წლის ალექსანდრ მოროზევიჩს (რუსეთი, 2749) წელს სუპერტურნირებში მართალია გამარჯვება არ გაუმარჯვნია, მაგრამ ერთ-ერთ საპრიზო ადგილს ყოველთვის იკავებდა.

მეხუთე ადგილზე მყოფი ინგლისელი მაიკლ ადამსი (2744) სისტემატურად იკავებს მაღალ ადგილებს, უაღრესად ფრთხილად თამაშობს, მას „ობობას“ ეძახიან, რადგან პირდაპირ „ობობას ქსელში“ აბამს მეტოქეებს.

ვასილი ივანჩუკი (უკრაინა, 2731) მეტისმეტად აგრესიული მოჭადრაკეა, თამაშობს პრინციპით „კეისარი ან არაფერი“. ეს ხან პირველ ადგილს მოიტანს ხოლმე, ხან მწარე ჩავარდნას.

პეტერ ლეკო (უნგრეთი, 2730) საერთოდ არავისთან არ აგებს, მაგრამ ათასში ერთხელ იგებს. აქ ერთი რამეც უნდა გავითვალისწინოთ: ლეკო სულ 22 წლისაა.

ამათ გარდა „საჭადრაკო ელიტაში“ შედიან, 8. ევგენი ბარეევი (რუსეთი, 2719), 9. ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი, 2711). 10. ალექსეი შიროვი (ესპანეთი, 2706). 11. ბორის გელფანდი (ისრაელი, 2704), 12. რუსტამ კასიმჯანოვი (უზბეკეთი, 2704), 13. ილია სმირინი (ისრაელი, 2702) და 14. ალექსანდრ ხალიფმანი (რუსეთი, 2700).

## მსოფლიო ჩემპიონი ВБО-ს ვერსიით ძალიან აქტიურია

უკრაინელი მძიმეწონოსანი მოკრივე ვლადიმირ კლიჩკო, რომელმაც ამას წინათ დაიცვა მსოფლიო ჩემპიონის წოდება ВБО-ს ვერსიით, ბევრს მოღვაწეობს. რათა სპორტულ სამყაროში სახელი გაითქვას.

აი მაგალითად, ბუნდესვერის სამხედრო აკადემიაში ქ. ჰამბურგში მან ლექციების კურსი წაიკითხა სპორტულ თემაზე. მან აქვე წარადგინა დისერტაცია: „ტალანტის განვითარება სპორტში“, რომელიც ადრე უკვე დაიცვა კიევში.

ვლადიმირ კლიჩკომ ინტერნეტ-აუქციონში გამოფინა თავისი საბრძოლო ხელთათმანები საკუთარი და უფროსი ძმის – ვიტალი კლიჩკოს ავტოგრაფებით. მისი სასტარტო ფასი სულ ერთი გერმანული მარკა იყო. მიღებული თანხები გადაირიცხა საქველმოქმედო ფონდში, რომლის მიზანია ბავშვებისათვის დახმარება.

როგორც ვლადიმირ კლიჩკო აცხადებს, მისი მიზანია შეხვედრები სხვა ვერსიებით მსოფლიო ჩემპიონებად აღიარებულ გამოჩენილ მოკრივეებთან.


ვიტალი (მარცხნივ) და ვლადიმირ კლიჩკოები

## წრიული სისტემა არავის დავიწყებია!

ამ ბოლო წლებში ეროვნული ჩემპიონატები თუ საერთაშორისო ტურნირები უმეტესად შვეიცარიული სისტემით ტარდება, უფრო იშვიათად, ტრადიციული წრიული შეჯიბრებები.

ამიტომაც სასიამოვნო იყო, რომ ძველი გაიხსენეს ინდოეთის 2001 წლის ჩემპიონატში, სადაც 19 მოჭადრაკე თამაშობდა წრიული სისტემით. უარესი ის იყო, რომ მონაწილეები დღეში ორ პარტიას თამაშობდნენ.

18 შესაძლებლიდან 13,5-13,5 ქულით პირველ-მეორე ადგილები გაიყვეს დიდოსტატებმა დიბიენდი ბარუამ და 20 წლის კრიშნან საშიკირანმა. დამატებითი მონაცემებით ჩემპიონად ბარუა გამოცხადდა.

## «საუკეთესო სპორტსმენი ქალის» კანდიდატები

ჯენიფერ კაპრიატი დასახელებულია იმ კანდიდატებს შორის, რომლებსაც შეიძლება წლის საუკეთესო სპორტსმენი ქალის წოდება მიენიჭოთ. აშშ-ს ქალთა სპორტის ფონდი 15 ოქტომბერს გამარჯვებულს ამ პრესტიჟულ პრემიის მფლობელად გამოაცხადებს.

კაპრიატის გარდა, სხვა კანდიდატები არიან ფიგურული სრიალის ვარსკვლავი მიშელ კვანი, მოცურავე ინგე დე ბრიუინი, მძლეოსანი სტეისი დრაგულა, ტანმოვარჯიშე ანდრეა რადუკანი.

### იუმორი



— გაიგე? მონაკოში ფეხბურთი აუკრძალიათ...
— რატომ?
— სახათაბალო საქმეა, ძლიერად დარტყმული ბურთი გაუთავებლად ხან იტალიაში აღმოჩნდება, ხან საფრანგეთში...

* * *

— რატომ სცემთ მსაჯს, ჯერ ხომ მატჩი არ დაწყებულა?
— მატჩის შემდეგ პირდაპირ მივფრინავთ, მერე დრო არ დაგვრჩება...

* * *

**ჟურნალისტმა** მოკრივეები გამოკითხა. 10-მა პროცენტმა კითხვაზე, არის თუ არა საშიში კრივი, უპასუხა – არა! 90-მა პროცენტმა კითხვა ვერ გაიგო...

* * *

**კომენტატორი:** პირველი ტაიმი დამთავრდა 1-0 „დინამოს“ სასარგებლოდ, მე-17 წუთზე ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა არმიელმა ივანოვმა, მეორე ტაიმში ის უმცროსი ლეიტენანტის ჩინით თამაშობს...

* * *

**ერთმანეთს** ხვდება ორი ალპინისტი:
— სად გაატარე შვებულება?
— ორ ადგილზე, ჯერ 9 საათი ნაპრალში, შემდეგ სამი კვირა საავადმყოფოში.

## მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები




**4 სექტემბერი, სამშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია I არხი.*** ჩვენი ფეხბურთი (22.05), ***II არხი.*** ფეხბურთი. მ/ჩ. ახალგაზრდულ გუნდებს შორის. საქართველო – უნგრეთი (20.00), ***ევრიკა.*** „მსოფლიო სპორტი“ (10.45, 20.00), ***მე-9 არხი.*** ევროპის სტადიონებზე (20.00), ***ESPN.*** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. „მიდლსბრო“ – „არსენალი“ (20.00), ***EUROSPORT.*** ფეხბურთი. მსოფლიო თასი (14.30), მოტორბოლა. მსოფლიო ჩემპიონატი (3.15), ***НТВ плюс футбол.*** საფეხბურთო არქივი: „კორინთიანსი“ – „კასაბლანკა“ (13.15), „მანჩესტერ იუნაიტედი“ – „ნეკაკსა“ (15.00), „ვასკო და გამა“ – „მელბურნი“ (17.15), „კორინთიანსი“ – „რეალი“ (20.00), ევროპის ფეხბურთი (21.35), „მანჩესტერ იუნაიტედი“ – „ვასკო და გამა“ (23.05), ***НТВ плюс спорт.*** კატერებით რბოლა. მსოფლიო ჩემპიონატი (19.05), ჩოგბურთი. აშშ-ს ღია პირველობა (20.00).

**5 სექტემბერი, ოთხშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** ჩვენი ფეხბურთი (10.05), ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. საქართველო – ლიტვა (20.55, რეპორტაჟი თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონიდან). ***ევრიკა.*** „მსოფლიო სპორტი“ (10.45, 22.30), ***მე-9 არხი.*** ევროპის სტადიონებზე (20.00), ***ESPN.*** სპორტის სიახლენი (19.30, 22.30), ფეხბურთი. გოლები (20.00), ***EUROSPORT.*** მოტოკროსი. მსოფლიო ჩემპიონატი (12.30), ცხენოსნობა. ეროვნებათა თასი (14.30), ფეხბურთი. მსოფლიო თასი (21.15). ***НТВ плюс футбол.*** საფეხბურთო არქივი: „რეალი“ – „კორინთიანსი“ (13.45), „მანჩესტერ იუნაიტედი“ – „ვასკო და გამა“ (16.20), ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი (18.05), „რეალი“ – „კასაბლანკა“ (19.20), მ/ჩ. 2002 წლის შესარჩევი მატჩები ფეხბურთში: უკრაინა – სომხეთი (20.55), იუგოსლავია – სლოვენია (23.10). ***НТВ плюс спорт.*** კეთილი ნების თამაშები ავსტრალიაში (2.00), ტაილანდური კრივი (17.50).

**6 სექტემბერი, ხუთშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია.*** საკალათბურთო მიმოხილვა (17.25), ***რუსთავი-2*** ევროპის ქვეყნების საფეხბურთო მიმოხილვა (19.00), ***ევრიკა.*** „მსოფლიო სპორტი“ (10.45, 20.00), ***ESPN.*** ფეხბურთი: გოლები (10.30), მსოფლიო თასი. მიმოხილვა (20.00, 05.00), ფეხბურთის კვირეული, მსოფლიოს თასი (20.00, 20.30, 05.00), ***EUROSPORT.*** ფეხბურთი. მსოფლიო თასი (15.00, 22.00), ***НТВ плюс футбол.*** 2002 წლის მ/ჩ-ის შესარჩევი მატჩები: უკრაინა – სომხეთი (13.15), იუგოსლავია – სლოვენია (15.00), ბელგია – შოტლანდია (19.20), საფეხბურთო არქივი (17.00, 23.05), მსოფლიო ფეხბურთის სიახლენი (22.10, 1.00), ***НТВ плюс спорт.*** ჩოგბურთი. აშშ-ს ღია ჩემპიონატი (12.35, 20.00), ტაილანდური კრივი (18.40).

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი ღრმა სამძიმარს უცხადებს ვეტერან ფალავანს, ოლიმპიური თამაშების ჩემპიონს დავით ციმაკურიძეს მეუღლის გარდაცვალების გამო.

საქართველოს ოლიმპიური კომიტეტი ღრმა სამძიმარს უცხადებს ოლიმპიური თამაშების მეორე პრიზიორს, ევროპის ორგზის ჩემპიონს, მსოფლიო რეკორდსმენს ძალოსნობაში გიორგი ასანიძეს სიმამრის

ბივი კოტუას

გარდაცვალების გამო.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი ღრმა სამძიმარს უცხადებს საქართველოს ბეისბოლის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტს, სეოკ-ის წევრს რამაზ გოგლიძეს სიძის გარდაცვალების გამო.

საქართველოს ძალოსნობის ეროვნული ფედერაცია ღრმა სამძიმარს უცხადებს ძალოსნობაში ოლიმპიური თამაშების პრიზიორს, ევროპის ორგზის ჩემპიონს, მსოფლიო რეკორდსმენს გიორგი ასანიძეს სიმამრის

ბივი კოტუას

გარდაცვალების გამო.

გაზეთ „ლელოს“ რედაქცია თანაუგრძნობს დავით ციმაკურიძეს მეუღლის, გიორგი ასანიძეს სიმამრის და რამაზ გოგლიძეს სიძის გარდაცვალების გამო.



## კროსვორდი №69

**თარაზულად:** 5. ნიჩბოსნობის სადგური, 6. საქართველოს საფეხბურთო კლუბი, 8. ქვეყანა, სადაც ჩატარდა ბოლო ოლიმპიური თამაშები. 9. ჩილეს საფეხბურთო ნაკრების ნახევარმცველი, 10. ჩეხი ტრამპლინიდან მხტომელი, ოლ. ჩემპიონი, 12. ვეტერანი დინამოელი ფეხბურთელი, ეროვნებით ბერძენი, 18. ცხენოსნობაში დოღი გრძელ მანძილზე, 20. სარბიელი, ანუ... 21. ექსტრა კლასის ფეხბურთელი, მოჭადრაკე... 22. ოლიმპიური პრიზიორი (სიდნეი) მოჭიდავე, 23. ალპინიზმის ცენტრი სვანეთში, 24. ვეტერანი ბრაზილიელი ფეხბურთელი.

**შვეულად:** 1. პირველი მსოფლიო ჩემპიონი ქალი ჭადრაკში, 2. ცნობილი ფრანგი ვეტერანი ფეხბურთელი, 3. ილეთი ჭიდაობაში, 4. შუამარბი ანუ... 7. იგივეა, რაც ჰუკი, 10. საფარიკაო იარაღი, 11. ჩილეს ფეხბურთელთა ნაკრების მწვრთნელი 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე, 13. საჭადრაკო ამოცანა, 14. საფრანგეთის საფეხბურთო ნაკრების მეკარე 1998 წ. მსოფ. ჩემპიონატზე, 15. ოლიმპიური სამგზის ჩემპიონი მძლეოსანი საქართველოდან, 16. „ჩელსის“ ფრანგი ლეგიონერი, 17. ცნობილი სპორტნაწარმის გერმანული ფირმა, 19. სათევზაო ინვენტარი, 21. კანადის ჰოკეის ლეგენდა.

### კროსვორდი №68 ● პასუხები:

**თარაზულად:** 8. იაშვილი, 9. ნურმი, 10. როქი, 11. „თორი“, 12. ბალკანეთი, 13. აკრი, 14. ფრე, 17. ცალქალამანიძე, 29. „ვალიადოლიდი“, 21. ანი, 22. „დილა“, 23. ოსი.
**შვეულად:** 1. შენგელია, 2 ფარი, 3. ქინქლაძე, 4. ეში, 5. მირონი, 6. ბიკილა, 7 „ტიროლი“, 12. ბარკლი, 15. „ევერტონი“, 16. ანანდი, 17. ცურვა, 18. „ვილი“, 19. შოლი.

### საჭადრაკო ამოცანა

ჯემალ მახათაძე
(ზესტაფონი)



შამათი 3 სვლაში

წინა ნომერში გამოქვეყნებული ამოცანის ამოხსნა:
1. ეb2!
1. ...მფc3 2. ლf6X.
1....მფc5 2. ლb6X.
1....მფe5 2. ლf6X.
1. ...მფe3 2. ლe4X.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, 8. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14, 899 55 48 97. ინდექსი 66435 INDEX ● „ლელოს“ კომპიუტერული ცენტრი: ხელმძღვანელი გურამ ს მონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე სიდამონიძე.